ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 30 ოქტომბერი, 2018 | №257 (7802) | ფასი: 60 თეთრი

„გრიგოლ ვაშაძემ მაგრად იმუშავა და ეს დაუფასდა“

გვ.4

თორნიკე შარაშენიძე: „მთავრობის ერთადერთი შანსი არის ის, რომ გაათამაშოს ისევ სააკაშვილის ბუა, აი, ჩამოვა და გაგაუპატიურებთ“

სალომე ზურაბიშვილს „ოცნებასთან“ ურთიერთობა დაეძაბა

გვ.3

„ივანიშვილი და ზურაბიშვილი განწირულები არიან“

„საქართველო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ თვისებრივად ახალ საფეხურზე გადავიდა“

გვ.2

გიორგი გუგავა: „ვაშაძის მხარდაჭერა ჯერ არ გადაგვიწყვეტია“

გვ.2

გვ.3

გია ნოდია: „მითი, რომ ივანიშვილს არჩევნებით ვერ მოუგებ, გაქარწყლდა“

დიმიტრი ცქიტიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ სერიოზული ცვლილებებია საჭირო“

გვ.4

გვ.5

დავით ლორთქიფანიძე: „ქართული ოცნება“ გადასახალისებელია“

რომან კაკულია: „არჩევნების შედეგები იყო პასუხი იმ იმედგაცრუებაზე, რომელიც საზოგადოებამ ჩვენი მმართველობის პერიოდში განიცადა“

გვ.5

სამართალი გვ.7

ვანო მერაბიშვილის საქნიდან გაყვანა საპროცესო კოდექსში ცვლილებების მიზეზი გახდა

სანდრო გირგვლიანის საქმეზე დათა ახალაიას პატიმრობა შეეფარდა

გორთან ავარიას 2 ადამიანი ემსხვერპლა

ეკონომიკა გვ.6

ირაკლი ქარსელაძე: „პრობლემური ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებლები ძირითადად უცხოური კომპანიები არიან“

ირაკლი იაშვილი: „მოსახლეობამ წითელი არა, მაგრამ ყვითელი ბარათი ნამდვილად აჩვენა „ქართულ ოცნებას“

პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში 250 კომპანია გაერთიანდა

ISSN 1987-9385

3 გიორგი ვაშაძე: „ქარგია, „ოცნებამ“ გაიგო, რომ ქვეყანა გაჭირვებაშია“

2 მალგოჟატა გოშევსკა: „წინასაარჩევნო პროცესში ადმინისტრაციულ რესურსს იყენებდნენ“

3 ირაკლი სესიაშვილი: „არ დავუშვებთ არანაირ რევოლუციურ სცენარს“

3 „პატრიოტთა ალიანსი“ არჩევნების მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას არ გამორიცხავს

შოთა მალაშხია: „ივანიშვილი და ზურაბიშვილი განწირულები არიან“

„საქართველო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ თვისებრივად ახალ საფეხურზე გადავიდა“

მარიამ მჭედლიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდგომ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე შოთა მალაშხიას.

შოთა მალაშხია:

– გამართლდა ის, რის პროგნოზსაც ყოველთვის ვაკეთებდი, მათ შორის, „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუებში.

– წინ მეორე ტურია.

– მეორე ტური წინაა, მაგრამ ჩვენი, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე რეალურად გამარჯვებულია. არნახული ფალსიფიკაციის ფონზე მან ასეთი შედეგი აჩვენა და მეორე ტურში გავიდა.

– გაყალბება ბევრჯერ მომხდარა. არნახულ ფალსიფიკაციაზე რატომ ამახვილებთ ყურადღებას?

– ამ მასშტაბის გაყალბება და ყველანაირი მეთოდისა და ხრიკის გამოყენება საქართველოში კი არა, ალბათ, მსოფლიოში არ მომხდარა. ამ რაოდენობის ხალხი ადრე არ მოუსყიდავთ. ყველაფერი ამოქმედებული იყო – კოორდინატორების ზეწოლით დაწყებული, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების მონაწილეობით დამთავრებული. ამან არ იმუშავა. საბედნიეროდ, პატრიოტულმა მუხტმა იმძლავრა. ქართველებმა ყველაზე წინ პატრიოტიზმი დავაყენეთ.

– ამ შედეგს პატრიოტულ მოტივს უკავშირებთ? იქნებ საპროტესტო განწყობებია ძლიერი?

– პატრიოტულ მუხტი გადამწყვეტი იყო. საზოგადოებამ ამ არჩევანით განაცხადა, რომ უნდა ევროპულ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრება, სადაც ძლიერი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები მუშაობს და ყველაფერს არ განაგებს რუსული სახელმწიფო კომპანია „გაზპრომის“ მეწილე.

ხალხმა უარი უთხრა არაფორმალურ მმართველობას, კორუფციას, ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს 2008 წლის ომზე.

ბუნებრივია, საპროტესტო განწყობები არსებობს. ხალხმა ამ არჩევანის დროს ასევე პროტესტი გამოთქვა ეკონომიკის ჩამოშლის, სიღარიბისა და სიღატაკის მატების, უმუშევრობის ზრდის გამო. საქართველო პირველი ტურის შემდეგ თვისებრივად გადავიდა ახალ საფეხურზე.

– კერძოდ?

– ხალხმა პოლიტიკოსებს თავისი პირობები წამოგვიყენა. ესაა დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ზრუნვა, ნორმალური განათლება და ჯანდაცვა, ეკონომიკის განვითარება. საზოგადოებამ მოგვიწოდა, გამოვასწოროთ შექმნილი მდგომარეობა და მიგვანშნა, რომ თუ გადაცდომები გვექნება, ყველას გამოგვიტანენ იმავე განაჩენს, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ მიიღეს.

– მეორე ტურისთვის ხელისუფლება და „ქართული ოცნება“ სათანადოდ მოემზადებიან და მეტ ბერკეტს აამოქმედებენ.

– გაერთიანებულმა ოპოზიციამ ხალხის მეშვეობით ყველაზე რთული რაუნდი მოვიგეთ. არ გახსოვთ, რას ამბობდნენ ირაკლი კობახიძე და სხვები? ისინი დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ ზურაბიშვილი პირველივე ტურში იგებდა არჩევნებს, რომ ოპოზიციას 20%-ზე მეტის მხარდაჭერა არ აქვს და ა.შ. იყო გაყალბება, მოსყიდვა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. მოქრთამვის რესურსი ამოწურული აქვთ.

– ამოწურული რატომ აქვთ?

– იმიტომ, რომ ვისი მოსყიდვაც შეიძლებოდა, მოისყიდეს. ამაზე მეტს ვერ იყიდიან, თანაც, შეიძლება, გონზე მოვიდნენ ისინიც, ვინც პირველი ტურის დროს ფული აიღო. შვილმა რომ ნახა კადრები, როგორ ჩაიჯიბა არჩევნებისას ფული მამამ, შეიძლება, უთხრა კიდეც, სამშობლო როგორ გაყიდეო!

ასეთი ამომრჩეველი შეიძლება ვეღარ იყიდონ. საზოგადოება მოელის, რომ პოლიტიკოსები წესიერად, სახელმწიფოებრივად მოიქცევიან. ტერიტორიულ მთლიანობას უცებ ვერავინ აღადგენს, მაგრამ ხალხის სურვილია, რომ ამ მხრივ ნაბიჯების გადადგმა მაინც დაიწყოს და ჩვენი პრობლემატიკა გავიდეს საერთაშორისო ტრიბუნებზე.

უნდა გაჯანსაღდეს ეკონომიკა და შემცირდეს კორუფცია. ამისთვის ხალხი გაერთიანებისკენ მოგვიწოდებს. პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია გაერთიანება ჯანსაღი კონკურენციის პირობებში.

– „ევროპული საქართველოს“ კანდიდატმა დავით ბაქრაძემ გაერთიანებულ ოპოზიციას თანადგომა გამოგიცხადათ.

– ეს კარგი განცხადება იყო. ამ პარტიის ამომრჩეველი მეორე ტურში ისედაც ჩვენს კანდიდატს მისცემდა ხმას. დავით ბაქრაძემ კი ამ ჟესტით გამოიჩინა პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

გადავედით იმ ეტაპზე, როცა ქვეყანაში აბსოლუტური ძალაუფლებით ვეღარავინ ისარგებლებს, ხელისუფლება იქნება კონტროლის ქვეშ. ხალხი აბსოლუტური ძალაუფლებისაგან პოლიტიკოსების გარყვნას არ დაუშვებს. უკონტროლო ხელისუფლება იგივეა, რაც ადამიანი იმუნიტეტის გარეშე. დადგა დრო, ყველამ არჩევანი გააკეთოს პოლიტიკური გემოვნების მიხედვით. ვისაც უნდა, კონსერვატორები აირჩიოს, ვისაც უნდა – მემარცხენეები და ა.შ.

– ეს საპარლამენტო არჩევნების დროს უნდა მოხდეს.

– ადრეც მითქვამს, რომ მოქმედი პარლამენტი არ ასახავს ხალხის განწყობას და აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ჩემი ინტერესი და მიზანი გრიგოლ ვაშაძის პრეზიდენტობა არ არის. ამას უნდა მოჰყვეს სხვა ნაბიჯები, რეფორმები და მშვიდობიანი ცვლილებები. ჩვენ შეიძლება ამას შევეწიროთ, მაგრამ ჩვენმა შვილებმა მაინც უნდა იცხოვრონ ევროპული ტიპის ნორმალურ სახელმწიფოში.

– იმედი გაქვთ, რომ მეორე ტურში ვაშაძის მხარდამჭერების რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება?

– რასაკვირველია. წინა ხელისუფლება უშეცდომო არ იყო, მაგრამ გაუთავებლად სისხლიანი 9 წელიწადის ძახილი „ქართულ ოცნებას“ და მის გარშემო გაერთიანებულ მოღალატე ადამიანებს ვერ უშველით. 2012 წლის არჩევნებში აპრობირებული მეთოდები აღარ გადის. ეს ტიპური კგბ-ს ხერხებია. ისინი ჩვენთან მოსინჯეს 2012 წელს. ასე მოვიდა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში.

რუსეთის სპეცსამსახურებმა თავიანთი ტროლები აამუშავეს სხვა ქვეყნებშიც. ისინი ჩაერივნენ აშშ-ის, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოების არჩევნებში.

დღეს საქართველოში რუსულ ტროლებს ვერ შემოაგდებენ. ივანიშვილი და ზურაბიშვილი განწირულები არიან. ბოლშევიკების მსგავსად, ჯარების შემოყვანა დარჩათ არსენალში, მაგრამ ეს არ გამოვა. ჩვენმა საზოგადოებამ გამოიჩინა სიმწიფე და პატრიოტიზმი. საქართველო ისტორიულად სწორედ ხალხის პატრიოტიზმმა შეგვინარჩუნა.

გიორგი გუგავა: „ვაშაძის მხარდაჭერა ჯერ არ გადაგვიწყვეტია“

იაგო ნაცვლიშვილი

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა **გიორგი გუგავამ** „ახალ თაობასთან“ საპრეზიდენტო არჩევნებსა და პოლიტიკურ ვითარებაზე ისაუბრა.

– როგორ აფასებთ არჩევნებს?

– ამ არჩევნების შეფასება შეიძლება შემდეგნაირად, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მომხდარიყო არჩევნების გაყალბება.

– რას გულისხმობთ არჩევნების გაყალბებაში?

– აბსოლუტურად ყველა მეთოდი გამოიყენეს. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ე.წ. კარუსელის დატრიალება, ფულის დარიგება, ჩვენთვის ხმების მოპარვა და ა.შ. ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ სასურველი შედეგის მიღება მაინც ვერ მოახერხეს. „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური ძალა, პრაქტიკულად სამარის პირას იმყოფება.

– მეორე ტურში დაუჭერთ თუ არა მხარს გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს?

– მათზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ იმ ადამიანებმა, რომლებმაც მას მხარი დაუჭირეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ესენი ერთი სისტემის შვილები არიან. მათი პოლიტიკური გზები გადაკვეთილია ერთმანეთს შორის. გადახედეთ მათ, ვინ როდის რომელ პარტიაში იყო. შესაბამისად, ჩვენ მათზე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ.

– ანუ მეორე ტურში არავითარ მონაწილეობას აღარ აპირებთ? დავით ბაქრაძემ მოუწოდა ოპოზიციურ პარტიებს, გავერთიანდეთ და ერთობლივი ძალებით ვიმოქმედოთო. რა პასუხი გაქვთ?

– ხელისუფლება უკვე დამარცხებულია როგორც იდეოლოგიურად, ისე პოლიტიკურად. უდიდესი რესურსი და ამომრჩევლის მხარდაჭერა სწორედ შალვა ნათელაშვილსა და ლეიბორისტულ პარტიას აქვს ხალხთან ერთად და ეს ლოგიკურ დასასრულამდე მივა.

ჩვენი პასუხი ასეთია, რომ ჩვენ არ ავიღებთ პასუხისმგებლობას იმ პოლიტიკურ ძალებზე, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ერთი იდეა აერთიანებდათ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს ქმედებებზე და შევეცდებით, გავაგრძელოთ მუშაობა ამ მიმართულებით და გავაგრძელოთ ჩვენი გზა.

– გუშინ საკაკაშვილმაც მოუწოდა შალვა ნათელაშვილს, ერთხელ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს და იმედი გამოთქვა, რომ ასეც მოიქცევა.

– ეს არის ჩვენი პირველი პოზიცია, ჩვენი განმარტებები კიდევ იქნება.

მალგოჟატა გოშევსკა: „წინასაარჩევნო პროცესში ადმინისტრაციულ რესურსს იყენებდნენ“

პოლონეთის სეიმისა და სენატის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლის, მალგოჟატა გოშევსკას ინფორმაციით, საარჩევნო კომიტეტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის შედეგად მოიპოვეს ინფორმაცია, რომ წინასაარჩევნო პროცესში ხდებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. მისი შეფასებით, ამ ტიპის მოქმედებებს შეიძლება, არჩევნების საბოლოო შედეგზე ზეგავლენა მოეხდინა. შესაბამისი ანგარიში სადამკვირვებლო მისიის წევრებმა დღეს წარმოადგინეს.

– ჩვენი ყურადღება მიიპყრო თვითონ საარჩევნო უბნების მიმდებარედ არსებულმა ატმოსფერომ, იმ აგიტაციამ, რომელიც იქ იყო გამეფებული. მინდა გითხრათ, რომ სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა საკუთარ თავზე განიცადეს აგრესიული მოპყრობა, რომელსაც საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი ასეთი შეხება ასეთი ტიპის აგრესიასთან, რომელიც სენატისა და სეიმის დეპუტატებს დაატყდათ თავს, – აღნიშნა მან.

ამასთან, პოლონეთის რესპუბლიკის სეიმისა და სენატის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლის თქმით, საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ საარჩევნო სიები საარჩევნო უბნებზე მხოლოდ ქართულ ენაზე იყო გამოკრული და შეიძლება, ეს საარჩევნო ბრძოლის ერთ-ერთი ინსტრუმენტი იყო. მისივე თქმით, სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა საარჩევნო უბნების მიმდებარედ არასრულწლოვნების აქტიურობა, რაც საარჩევნო პროცესზე დადებითაც არ აისახა.

– პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ის, რომ პროცესში სხვადასხვა დამკვირვებელი მონაწილეობდა, თუმცა ამ პროცესშიც გარკვეული გადაცდომები იყო. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამკვირვებლები ზოგ შემთხვევაში სხვადახვა ისეთ პროცესში მონაწილეობდნენ, როგორიც ხმის დათვლის პროცესია. გარდა ამისა, საარჩევნო უბნებზე შეინიშნებოდა ზოგიერთი კომიტეტისა და ჯგუფის წარმომადგენლების სიმრავლე. იმედი გვაქვს, რომ მეორე ტურამდე დარჩენილი დრო და ამ ტურამდე ჩატარებული სამუშაოები დაგვიდასტურებს იმას, რომ საქართველო ისევ მყარად ადგას იმ გზას, რომელიც დიდი ხნის წინ დაისახა და ეს არის ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებსა და ნატოში, – აღნიშნა მან.

აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის სადამკვირვებლო პროცესში პოლონეთიდან 16-მა პარლამენტარმა მიიღო მონაწილეობა. მათ ასევე ეხმარებოდა 6 ექსპერტი და აღნიშნული საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია ცესკო-ში ოფიციალურად იყო დარეგისტრირებული. მისიას კოორდინირებას უწევდა სეიმის დეპუტატი მალგოჟეტა გოშევსკა და სენატორი მარია კოცი – პოლონეთის სენატის ვიცემარშალი. სადამკვირვებლო მისიაში პოლონეთში არსებულმა ძირითადმა პოლიტიკურმა ძალებმა მიიღეს მონაწილეობა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ნოდია: „მითი, რომ ივანიშვილს არჩევნებით ვერ მოუგებ, გაქარწყლდა“

იაგო ნაცვლიშვილი

28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი **გია ნოდია** აფასებს.

– თქვენი შეფასებით, რა უთხრა მმართველ გუნდს ამომრჩეველმა?

– უმეტესწილად უარი უთხრა, ძირითადად მაინც ვხედავდით, რომ მმართველი გუნდის ძირითადი იმედი იყო ადმინისტრაციული რესურსის და ხალხის მობილიზაცია კოორდინატორების მიერ. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ იყო ხალხი, ვინც რეალურად და გულწრფელად ხმა მისცა სალომე ზურაბიშვილს, მაგრამ ისე ჩანდა, რომ ძირითადი მაინც ადმინისტრაციული რესურსი იყო, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. პრაქტიკულად თანაბარი შედეგები აქვთ ოპოზიციის მთავარ წარმომადგენელს გრიგოლ ვაშაძეს და სალომე ზურაბიშვილს.

მესამე ძალის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ თავის ამომრჩეველს მოუწოდა, რომ ხმა მისცენ ვაშაძეს. ასე რომ, მეორე ტურის წინ გრიგოლ ვაშაძე აშკარა ფავორიტია. ამ მომენტისთვის ხელისუფლების კანდიდატი დამარცხებულია.

– ამომრჩეველმა ხელისუფლებას გაულაწუნა?

– კი ბატონო, ასეა. სხვადასხვა მეტაფორა შეიძლება გამოვიყენოთ: ყვითელი ბარათი აჩვენა, გაულაწუნა... ცხადია, რომ ეს არის ძალიან მტკივნეული სიგნალი ხელისუფლებისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით არის, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელში ხელისუფლებას არჩევნებით ვერ მოუგებ, ეს მითი გაქარწყლდა.

ცხადია, პრეზიდენტის ძალაუფლება არ არის ისეთი, რომ მარტო პრეზიდენტმა არსებითად რაღაცა შეცვალოს, მაგრამ ეს იყო ერთგვარი შესავალი და მომზადება საპარლამენტო არჩევნებისთვის. ახლა საპარლამენტო არჩევნებში შეიძლება რეალისტური მოლოდინი იყოს, რომ ხელისუფლება წააგებს არჩევნებს და შეიცვლება.

– ელოდებით, რომ ხელისუფლება ფუნდამენტურ ცვლილებებს განახორციელებს?

– ხელისუფლება ერთ კაცზეა დამოკიდებული და მასში ვერ ვხედავ რაღაც უნარებსა და რესურსებს, რომ პრინციპულად სხვანაირად მოიქცეს. ასეთი მტკივნეული სიგნალი ხელისუფლებას აქამდე არ მიუღია, მაგრამ სხვა სიგნალები იყო, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს. ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება კრიზისის აღიარება იყო. ამის შემდეგ მან შეცვალა პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ნახევარი წელი გავიდა და არანაირი მინიშნება არ არის, რომ რამე იცვლება და რომ ბიძინა ივანიშვილი რაიმე არსებითის შეცვლას აპირებს.

– ანუ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ოცნება“ ძალაუფლების დაკარგვის წინაშეა?

– სერიოზული საფრთხე აქვს. იქამდე ვითარება შეიძლება ბევრჯერ შეიცვალოს, მაგრამ დღეს ასე ჩანს, რომ იმ არჩევნებისთვის ოპოზიცია ფავორიტი იქნება.

– 28 ოქტომბრის შედეგზე რა იყო მთავარი განმაპირობებელი, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება თუ სამართლებრივი საკითხები?

– მთავარი ყოველთვის არის ფონი. ცხადია, რომ ნეგატიური ფონია და არა – პოზიტიური. ჩემი აზრით, მთავარი იყო სალომე ზურაბიშვილის, როგორც კანდიდატის, სისუსტე და, მეორე მხრივ, ის სკანდალები, რომლებმაც აჩვენა საზოგადოებას, რომ როდესაც „ქართული ოცნება“ სამართლებრივ საკითხებსა და ადამიანის უფლებების სფეროში უპირატესობაზე საუბრობდა, ეს ყოფილა ტყუილი.

– მათ შორის ფარულ ჩანაწერებსაც გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა. განსაკუთრებით ჩანაწერებს. მანამდე იყო სარალიძის საქმეზე საპარლამენტო კომისიის მუშაობა. ყველაფერი ერთმანეთს დაედო და ერთმანეთს დაუკავშირდა.

– შუას გაკრეფაზე საუბრობდა ივანიშვილი და ნაწილობრივ ეს მოახერხა კიდეც, მაგრამ დღეს ეს ნიშა ჰქონდა „ევროპულ საქართველოს“. ამით შეიძლება აიხსნას, რომ ბაქრაძეს, უსუფაშვილსა და სხვებს არ დაუჭირა ამომრჩეველმა მხარი?

– ეს ერთგვარი ქართული პოლიტიკური კულტურაა, რაც ბევრჯერ დადასტურდა, დაწყებული 1990 წლის არჩევნებიდან. როდესაც მწვავდება სიტუაცია და როდესაც ხალხი უკმაყოფილოა ხელისუფლებით, ის მხარს უჭერს რადიკალურ ოპოზიციურ ძალას, რომელსაც ხელისუფლება ყველაზე რადიკალურად აღიქვამს. იგივე კანონზომიერება იყო 2012 წელს, ასე ცალსახად არა, მაგრამ არსებითად ასეთი კანონზომიერება

გამოვლინდა 28 ოქტომბრის არჩევნებზეც.

– ამომრჩეველი მაინცდამაინც არ გაზრდილა ამ თვალსაზრისით?

– გააჩნია, გაზრდაში რას ვიგულისხმებთ. კი ბატონო, ძირითადი ფაქტორი ეს არის. როცა არ მოგწონს ხელისუფლება, ხმას აძლევ იმას, ვინც, შენი აზრით, რადიკალურად უპირისპირდება მას, რომელიც გაძლევს იმედს, რომ ის ხელისუფლებას დაამარცხებს.

– წინასაარჩევნო პერიოდში ვითარების შავ და თეთრ პოლიტიკურ ფერებში წარმოჩენა ხდებოდა. ამანაც ხომ არ იქონია გავლენა?

– ესეც მეტაფორული კითხვაა. ფერები მრავალი არსებობს, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა ხედავს ორ ვარიანტს: ხელისუფლება რჩება ან მარცხდება. თუ ხელისუფლება მარცხდება, ხმა უნდა მისცე იმას, ვინც ხელისუფლებას დაამარცხებს. ეს არის ლოგიკა.

აქ მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ეს საპრეზიდენტო არჩევნებია და აქ გამარჯვებული მხოლოდ ერთია. ეს არ არის საპარლამენტო არჩევნები, სადაც რამდენიმე პარტია შეიძლება შევიდეს და მერე იქ კოალიციები შეიქმნას. ასე რომ, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეს ადეკვატური მოლოდინია.

– ნაცმოძრაობაში „ევროპულ საქართველოსთან“ კოალიციის მზაობა უკვე გამოთქვეს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ იმ ფონზე, რაც იყო ამ ორ პარტიას ურთიერთობებში?

– მათ შორის ძალიან მწვავე ფონი იყო, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ დავით ბაქრაძემ მაშინვე თქვა, რომ მოუწოდებს თავის ამომრჩეველს, ხმა მისცეს გრიგოლ ვაშაძეს. ეს განაცხადი სხვა არაფერი არ არის, თუ არა კოალიცია. მომავალში რას ნიშნავს კოალიცია, წინასაარჩევნო კოალიციაზეა საუბარი თუ პოსტსაარჩევნო კოალიციაზე, ეს სხვა საკითხია. მთავარია, რომ ამ ორმა ძალამ შეძლოს თანამშრომლობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წინასაარჩევნოდაც კოალიცია უნდა შექმნას.

– „გირჩმა“ პირველად მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. რამდენად ოპტიმისტური შედეგი აჩვენეს?

– გასაგებია, რომ შესაძლოა ეს 2 პროცენტზე ცოტა მეტი ზურა ჯაფარიძისთვის მიღწევაა, მაგრამ, არა მგონია, ისეთ ძალად ჩამოყალიბდეს, რომელიც ამინდს შექმნის. შეიძლება, ახალგაზრდობაში რაღაც გავლენა მოახდინოს თავისი აქტივობით. ეს უფრო სოციალური პერფორმანსები და სოციალური ქმედებებია, მაგრამ, არა მგონია, ჯერ-ჯერობით სერიოზულ ძალად აღვიქვათ.

– სხვა ოპოზიციურ ძალებში რა რესურსს ხედავთ დღევანდელი გადმოსახედიდან?

ჯერჯერობით არავითარს. შეიძლება ითქვას, რომ დავით უსუფაშვილის პროექტი ჩავარდა. შალვა ნათელაშვილი არის და არის, მაგრამ მაინცდამაინც დიდი წარმატებისთვის არც მას მიუღწევია.

ეს არის მაინც პიროვნული არჩევნები, საპარლამენტო არჩევნებზე სხვა სურათი იქნება. შეიძლება, ახალი პარტიები დაფუძნდეს. ყოველთვის იქმნებოდა არჩევნების წინ ახალი პარტიები და, შესაძლოა, რაღაც სხვა განლაგება ვნახოთ.

შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებზე ბევრმა არ დადო ფსონი. ჩათვალა, რომ ეს არ არის ისეთი მნიშვნელოვანი. ვნახოთ, საპარლამენტო არჩევნებისთვის განლაგება შეიცვლება თუ არა და როგორ.

– სტრატეგიულად გამართლებული იქნება, რომ მეორე ტურში მათაც გრიგოლ ვაშაძეს დაუჭირონ მხარი?

– სტრატეგიულად სწორი იქნება და, რა თქმა უნდა, უნდა დაუჭირონ.

სალომე ზურაბიშვილს „ოცნებასთან“ ურთიერთობა დაეძაბა

გუშინ, 29 ოქტომბერს, სალომე ზურაბიშვილი კამერების წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელთან, მიხეილ კენჭიაშვილთან ერთად გამოჩნდა.

„კურიერის“ წყაროს ინფორმაციით, ძალოვანი უწყებიდან დაცვა ზურაბიშვილის გასაკონტროლებლად გამოყვეს, შს სამინისტროში კი ამბობენ, რომ კენჭიაშვილი მათი თანამშრომელი იყო, რომელიც სამსახურიდან 2 კვირის წინ წავიდა.

კამერების წინ სალომე ზურაბიშვილმა მედიასთან კომენტარი არ გააკეთა, ჟურნალისტებს ზურგი შეაქცია და მობილურზე მხიარული საუბრით შეიქცია თავი. „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა არც ერთი სიტყვა არ უთხრა არც იმ 615 ათას ამომრჩეველს, ვინც საარჩევნო ბიულეტენში მისი სახელი შემოხაზა.

„კურიერის“ ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილსა და მმართველ პარტიას შორის ურთიერთობა დაიძაბა. სალომე ზურაბიშვილი „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის, კახი კალაძის განცხადებამ გააბრაზა, რომელმაც თქვა, რომ პარტიის მთავარი შეცდომა ზურაბიშვილის მხარდაჭერა იყო.

„ქართულ ოცნებას“ გუშინ უპასუხო კითხვების დღე ჰქონდა. მამუკა ბახტაძემ ხალხის საპასუხო გზავნილი ფურცლიდან წაიკითხა და არ მოუსმინა მთავარ კითხვას – რატომ იზეიმა „ქართულმა ოცნებამ“ წინასწარ ზურაბიშვილის გამარჯვება მაშინ, როდესაც რეალობა სულ სხვა იყო.

„ქართული ოცნებაში“ აცხადებენ, რომ მზადება მეორე ტურისთვის დაწყებულია, თუმცა, რის შეცვლას გეგმავს მმართველი პარტია ერთი თვის ვადაში, უცნობია.

გიორგი ვაშაძე: „ კარგია, „ოცნებამ“ გაიგო, რომ ქვეყანა გაჭირვებაშია“

გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვაშაძის განცხადებით, მათმა საპრეზიდენტო კანდიდატმა პირველ ტურში გაიმარჯვა, „ქართულმა ოცნებამ“ კი არჩევნები ნინოწმინდასა და ახალქალაქში გააყალბა.

როგორც გიორგი ვაშაძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, გაერთიანებული ოპოზიცია აღნიშნული უბნების შედეგების გაუქმებას მოითხოვს.

– აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ყველა ოქმის დამუშავებაზე. კარგია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიგო, რომ ქვეყანა არის გაჭირვებაში და მათ საერთოდ დაკარგეს კონტაქტი საზოგადოებასთან, მაგრამ ისინი ამ წუთამდე ცდილობენ მონაცემებით მანიპულაციას. ჩვენ პირველ ტურში პირველი ადგილი გვაქვს. მოვითხოვთ, რომ დაფიქსირდეს რეალური შედეგები. ტოტალური გაყალბებაა განსაკუთრებით ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, გეგონებათ, პირდაპირ კომპიუტერში ჩამოწერესო ერთნაირი ციფრები უბნიდან უბანზე. ეს უბნები აუცილებლად უნდა გაუქმდეს და შესაბამისი შედეგი უნდა იყოს ამასთან დაკავშირებით, – აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

მისი თქმით, მეორე ტურში „ქართული ოცნება“ მანიპულაციების ჩატარებას ვეღარ მოახერხებს.

– ახლა ჩვენ ვართ საგანგებო რეჟიმში, ვაფიქსირებთ ყველა დარღვევას და ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია გვექნება, – აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

ასევე, მან ბრიფინგზე წარმოადგინა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლის ფოტოსურათი და განაცხადა, რომ მას კასპში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

– აგერ სისხლიანია ადამიანი. მოვუწოდებ „ქართული ოცნების“ შტაბს, რომ გააჩერეთ ეს ადამიანები, ნუ მიდიან აგრესიასა და პროცესის ხელოვნურად დაძაბვაზე. ჩვენ გარანტი ვარ იმის, რომ ამ პირველი ტურის შედეგებს და ასევე მეორე ტურის შედეგებს მშვიდობიანად მივიყვანთ ბოლომდე, – აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

ირაკლი სესიაშვილი: „არ დავუშვებთ არანაირ რევოლუციურ სცენარს“

არ დავუშვებთ არანაირ რევოლუციურ სცენარს – თქვენი 30%-იანი ეიფორია არ უნდა იყოს ცდუნება, – ასე მიმართა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი სესიაშვილმა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეს რომან გოცირიძეს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.

სესიაშვილის აზრით, ნაციონალური მოძრაობა ძალადობისა და რევანშისთვის ემზადება.

– 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგები „ქართულმა ოცნებამ“ კარგად უნდა გაიაზროს, რა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა ამას. ყველასთან უნდა იმუშაოთ, მათ შორის იმ ამომრჩეველთან, ვინც ნაციონალურ მოძრაობას მისცა ხმა, – აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა.

ირაკლი სესიაშვილს რომან გოცირიძემ უპასუხა, რომ ოპოზიციას, რომელმაც არჩევნებში 63%-ზე მეტი აიღო, რევოლუცია არაფერში სჭირდება.

– ხალხს ისევ საბურავებით აფრთხობთ – თუ გააყალბებთ იქნება რევოლუცია! – მიმართა გოცირიძემ ირაკლი სესიაშვილს.

28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დებატების მთავარი თემა იყო.

„პატრიოტთა ალიანსი“ არჩევნების მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას არ გამორიცხავს

ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ თავმჯდომარე გიორგი ლომია საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერას არ გამორიცხავს. როგორც ლომიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მათი მიზანია, ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის გამარჯვება არ დაუშვან.

– ვიფიქრებთ და ამის შესახებ მოგახსენებთ. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, მე დარწმუნებული ვარ, ვიღაც რომ დაეყენებინათ, ვიღაც პეტრე ბალანჩივაძე, უფრო მეტ ხმას აიღებდა, ვიდრე სალომე ზურაბიშვილი. იმიტომ, რომ სანამ კანდიდატს დააყენებ, ჰკითხე ხალხს, მისაღებია თუ არა ის კანდიდატი ამ საზოგადოებაში. შიდა პრაიმერი ჩაატარე, ან გარე სოციოლოგიური გამოკითხვა და მიხვდები, რომ ადამიანს, რომელსაც 2%-იანი მხარდაჭერაც არ აქვს, არ შეიძლება იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი. ამან გამოიწვია ის შედეგი, რომელიც დაიდო.

ლოგიკური ის კი არ იქნება, ჩვენ სალომე ზურაბიშვილს დავუჭერთ თუ არა მხარს კონკრეტულად, ჩვენ ვეცდებით გადავარჩინოთ ქვეყანა, რომ ქვეყნის სათავეში არ მოვიდეს „ნაცმოძრაობა“. ამაზე იქნება გაკეთებული აქცენტი და არა იმაზე, სალომე ზურაბიშვილი იქნება იქ, თუ პეტრე ბალანჩივაძე. ჩვენი მიზანი ყოველთვის იყო და იქნება ოღონდ არა „ნაცმოძრაობა“, – განაცხადა ლომიამ.

მისივე განცხადებით, იმ ადამიანებს, რომლებიც აუპატიურებდნენ, კლავდნენ, ბიზნესებს აფორმებინებდნენ ღამე, ასეთ პოლიტიკურ პარტიას ადამიანი ხმას არ მისცემს, მაგრამ 6 წლის განმავლობაში ამ ხელისუფლებამ იმდენი ქნა, რომ დაავიწყებინა ხალხს ეს ამბავი.

– პირველ რიგში ჩვენ უნდა გავიაზროთ თუ რა მოხდა გუშინ. ხალხმა, საზოგადოებამ გააკეთა ის არჩევანი, რაც ეკუთვნოდა ამ ხელისუფლებას. ეს არის უმადურობის შედეგი. ხელისუფლება ხალხს უმადურად ექცეოდა 6 წლის განმავლობაში. ის ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ ამ ხელისუფლებასთან ერთად, ჩვენთან ერთად სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, დღესაც რატომღაც ბარიკადებზე აღმოჩნდნენ და ის ადამიანები, ვინც ხელკეტს ურტყამდა, აუპატიურებდა, კლავდა ადამიანებს, დღეს დაწინაურებულები არიან და ისევ ინარჩუნებენ თავიანთ ადგილებს. რა თქმა უნდა, შეაფასა საზოგადოებამ ამათი დამოკიდებულება ხალხის მიმართ და თავისი არჩევანი გააკეთა. დაახლოებით 770 ათასმა კაცმა მისცა „ნაცმოძრაობას“ თავისი ხმა, – განაცხადა ლომიამ.

„გრიგოლ ვაშაძემ მაგრად იმუშავა და ეს დაუფასდა“

თორნიკე შარაშენიძე: „მთავრობის ერთადერთი შანსი არის ის, რომ გაათამაშოს ისევ სააკაშვილის ბუა, აი, ჩამოვა და გაგაუპატიურებთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, მეორე ტურის ალბათობაზე არაერთხელ გვისაუბრია. საზოგადოებაშიც იყო ეს მოლოდინი, თუმცა „ოცნებისთვის“ ეს მოულოდნელი აღმოჩნდა. რა ვერ გათვალა „ოცნებამ“? რამდენად ელოდით ასეთ შედეგს და ზოგადად როგორი არჩევნები იყო?

– როცა ვამბობთ, რა გათვალეს და რა ვერ გათვალეს, გავითვალისწინოთ, რომ ეგენი ცხოვრობენ საერთოდ სხვა რეალობაში, ჩვენ სხვა რეალობაში ვართ. შესაბამისად, ვერ ითვლიან ისე, როგორც, წესით, უნდა დაითვალონ.

ეს არის მათი მთავარი პრობლემა. როგორ უნდა დათვალო, როცა აცდენილი ხარ კოორდინატების სისტემას?! როგორ უნდა დათვალო, როცა გუნდში არ გყავს არც ერთი სერიოზული პოლიტიკოსი, არც ერთი პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანი, როგორ უნდა მოიპოვო მოსახლეობის ნდობა?! აი, ეს არის მთავარი პრობლემა.

– ნაციონალებს სრული მობილიზება ჰქონდათ გამოცხადებული?

– გრიგოლ ვაშაძემ ამ საარჩევნო კამპანიის დროს დაკარგა დაახლოებით 20 კილო. ეს ძალიან თვალში საცემია ყველასთვის. საოცრად იმუშავა ამ კაცმა, იმის გათვალისწინებით, რომ არ იყო მიჩვეული ამ ყველაფერს.

მთელი ცხოვრება იყო დიპლომატი, იყო მინისტრი და მიჩვეული იყო ფუფუნებაში ცხოვრებას და მას ჰქონდა კომფორტის ზონა შექმნილი. ბოლო წლები, როცა აღარ იყო მინისტრი, მშვენივრად გრძნობდა თავს სახლში ჯდომით, კითხვით, ფილმების ყურებითა და კარგი ღვინის წრუპვით.

ამ კაცმა გადაწყვიტა, გასულიყო კომფორტის ზონიდან და პირდაპირ თავი გადადო. მისი გარდასახვა ჩემთვის იყო მოულოდნელი და გასაოცარი. არ მეგონა, თუ ამდენს შეძლებდა და ეს დაუფასდა.

– უმრავლესობა აცხადებს, რომ არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულად. ვერ გაბედა „ოცნებამ“ გაყალბება?

– გაყალბების რაღაც შანსები არსებობდა და ამის სურვილიც ჰქონდათ. ჩვენ ვნახეთ მათი უტიფარი განცხადებები, სალომე ზურაბიშვილი იგებს 53%-თო. როგორც ჩანს, მოგვიანებით გათვალეს რისკები და დაასკვნეს, რომ ძალიან სარისკო იქნებოდა ეს. არავინ დაიჯერებდა, რომ სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვა პირველ ტურში. უზარმაზარი პოლიტიკური ფასი დაედებოდა სალომეს გაყვანას და გადაწყვიტეს, თავი შეეკავებინათ ამ სარისკო ნაბიჯისგან. თორემ ეჭვი მაქვს, არსებობს და გაყალბების ბერკეტები. სანამ ჩვენ არ გადავალთ ელექტრონული ხმის მიცემის პრინციპებზე, გაყალბების რისკი ყოველთვის იარსებებს.

– არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე აშშ-დან საქართველოს მაღალი რანგის პირები სტუმრობდნენ. გაჩნდა ვერსიები, რომ ხელისუფლებამ გაფრთხილება და მითითებები მიიღო. რას იტყვით თქვენ?

– მიჭირს ამის თქმა. მათ აქვთ ტრადიციული ტექსტი, რომ ამერიკა უჭერს მხარს დემოკრატიას და ამერიკა უჭერს მხარს სამართლიან არჩევნებს და ამას გამგები გაიგებდა. მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამერიკამ დატუქსა, თითები უქნია ან უთხრა, წადითო.

ალბათ უთხრა, რომ ამერიკა უჭერს მხარს იმ ქვეყანას, რომელიც დემოკრატიულია და ამით დამთავრდა.

– რამდენად ასწავლის ჭკუას ეს არჩევნები „ქართულ ოცნებას“?

– ეს გამოჩნდება. მე იმედი მქონდა, რომ ჭკუას ისწავლიდა მავანი იმის მერე, რაც ჩვენ ვნახეთ ტელევიზიით. კომპრომატები უამრავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ადეკვატური რეაგირება არ მოჰყვა.

მოჰყვება ამ არჩევნებს ადეკვატური რეაგირება? სამწუხაროდ, ეჭვი მეპარება.

– რა იქნება მეორე ტურში?

– ერთადერთი შანსი ხელისუფლების, რომ მოაგებინოს სალომე ზურაბიშვილისნაირ ძალიან სუსტ კანდიდატს, არის ის, რომ გაათამაშოს ისევ სააკაშვილის ბუა, აი, ჩამოვა და გაგაუპატიურებთ. მეტი არანაირი შანსი მათ არა აქვთ ამომრჩევლის მობილიზაციის.

აქტიურობა ამოწურეს გუშინ, ადმინისტრაციული რესურსი მაქსიმალურად ამოქაჩეს, რაც კი შეიძლებოდა. ეს ხომ ფაქტია. თუმცა დარჩა ძალიან ბევრი ადამიანი ვინც არჩევნებზე არ მივიდა. ახლა თუ იმათ მიიყვანენ არჩევნებზე, რომ სალომეს მისცენ ხმა, იმიტომ, რომ თუ ასე იქნება, სააკაშვილი ჩამოვა და ვაიმე რას გვიზამს, მაშინ შეიძლება სალომე გაათრიონ, სხვა შანსი არ აქვთ. გააჩნია, თუ გამოუვათ სააკაშვილის ბუას გათამაშება.

– ამომრჩევლის ძალიან მაღალი პროცენტი არ მივიდა არჩევნებზე იმედგაცრუების და პროტესტის გამო?

– აპათიის გამო. ეს არის პროტესტი დღევანდელი ხელისუფლების მისამართით. არ ენდობიან ხელისუფლებას. თვითონ ივანიშვილმაც მიმართა ხალხს, კალაძემაც და ყველამ, არიქა მოდით, სალომე გაიყვანეთო, მაგრამ ხალხმა გაატარა მათი მოწოდება. ეს არის პროტესტი პირველ რიგში მთავრობის მისამართით.

– როდესაც ორი კანდიდატი რჩება ერთმანეთის პირისპირ, უფრო მარტივი ხდება ამომრჩევლის მობილიზება?

– კი, წესით, ასეა ხოლმე. ვნახოთ, აქ რა იქნება. ევროპული საქართველოს ხმები წავა ვაშაძისკენ, მაგრამ ამათ აქვთ შანსი, რომ საფრთხობელა გაათამაშონ და გადაუწყვეტელი ამომრჩეველი წაიყვანონ თავისკენ, თორემ ფაქტია, რომ ადმინისტრაციული რესურსით ვეღარ იგებენ არჩევნებს.

– ეს იყო სერიოზული რეპეტიცია 2020 წლისთვის. გამოდის, რომ „ოცნებას“ გაუჭირდება შემდეგი არჩევნების მოგება?

– „ოცნებამ“ ამ არჩევნებით სერიოზული დარტყმა მიიღო. გამოჩნდა, რომ „ოცნება“ არ არის ყოვლისშემძლე. მორჩა, ამით ძალიან ბევრია ნათქვამი. თავიდან ვხედავდით, რომ დარაზმულები იყვნენ იმისთვის, რომ პირველ ტურშივე გამოეცხადებინათ გამარჯვება, ამის მცდელობაც იყო, როცა 53%-ზე დაიწყეს საუბარი. თუმცა აწონ-დაწონეს და მიხვდნენ, რაოდენ ხიფათის შემცველი იქნებოდა ეს ყველაფერი და დათანხმდნენ მეორე ტურს.

– რას ელოდებით თქვენ?

– მიჭირს თქმა, პროგნოზი ძალიან რთულია. ორივეს აქვს შანსი გამარჯვების. ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, მთავარი არის იმის იმედი, რომ ჩვენი პოლიტიკური კულტურა ამ არჩევნების შედეგად უფრო განვითარდა. ამომრჩეველს უფრო მეტი მოთხოვნა აქვს ყველას მიმართ. ასე უნდა იყვნენ ყველას მიმართ. არ შეიძლება, რომ მიუშვან რომელიმე, არც სააკაშვილის მიშვება შეიძლება და არც – ივანიშვილის. იმედია, ხალხმა ეს ისწავლა და ეს გამოჩნდა გუშინ.

– ანუ ამომრჩეველმა კარგად შემოულაწუნა ხელისუფლებას?

– რა თქმა უნდა. ხალხმა ყოველთვის უნდა ულაწუნოს ხელისუფლებას და არ უნდა აიტანოს მისი გაზულუქება და კორუფცია. კორუფცია რომ არსებობს, ესეც ფაქტია, ამას ყველა ვუყურებთ.

– არჩევნებზე ძალიან დაბალი აქტივობა იყო. ამას მთელი დღე ვაკვირდებოდით.

– ბევრი არ მივიდა, რადგან ფიქრობენ, ეს მთავრობა ხომ არ მომწონს, მაგრამ ვის მივცე ხმა? ვაშაძეს რომ მივცე, სააკაშვილი ჩამოვა. ამიტომაც ბევრი დარჩა სახლში.

– რაც შესაძლოა აღარ მოხდეს მეორე ტურზე?

– აი, ეგ ვნახოთ. ეგ ძალიან საინტერესო იქნება. ხელისუფლებამ, რაც შეეძლო, ყველა კომპრომატი გამოყარა, ბადრის მკვლელობის ამბავი და კიდევ გამოიტანა რაღაცები. ვფიქრობ, რომ კომპრომატები დასრულდა ორივე მხრიდან.

დაველოდოთ, საკმაოდ საინტერესო პროცესი გველოდება.

დიმიტრი ცქიტიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ სერიოზული ცვლილებებია საჭირო“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **დიმიტრი ცქიტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგებზე საუბრობს.

– ბატონო დიმიტრი, თქვენ რას უკავშირებთ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს?

– ალბათ, სწორი ანალიზია საჭირო. ასევე საჭიროა იმ სტრატეგიის, იმ მოქმედებების გადახედვა, რომელსაც ჩვენ ვახორციელებდით. ერთ-ერთი ყველაზე სწორი საზოგადოებრივი კვლევაა არჩევნები. ამ არჩევნების შედეგები ცხადყოფს, რომ სწორად ვერ ვხედავდით იმ შედეგებს, იმ მდგომარეობას, რომელიც არის.

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ანალიზია გასაკეთებელი, რომ არა მხოლოდ ამ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მივიღოთ შედეგი, არამედ ზოგადად საზოგადოებასთან მეტი კავშირი გვქონდეს, მეტი კომუნიკაცია.

რაც მთავარია, მეტ შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა უნდა გვქონდეს, რომელიც თითოეული ადამიანისთვის იქნება ხელმისაწვდომი და თვისობრივი. გარკვეული შეცდომები იყო, რომელიც უნდა გავიაზროთ. ჩვენი შემდეგი ქმედებები ამ შეცდომების გამოსწორებით უნდა იყოს ნაკარნახევი.

– თქვენი თანაგუნდელი რომან კაკულია ამბობს, რომ ეს იყო ამომრჩევლისგან შემოლაწუნება. რამდენად მზად არის „ქართული ოცნება“ რადიკალური ცვლილებებისთვის?

– ბუნებრივია, ყველას თავისი ეპითეტი აქვს და ყველა თავისებურად ხედავს ამ ყველაფერს. ზოგისთვის შხაპია და ზოგისთვის – გალაწუნება და კიდევ რა, მაგრამ, რაც მოხდა, ეს არის საზოგადოების მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი.

ამ შემთხვევაში არა მხოლოდ პროცენტულ განაწილებაზე ვსაუბრობ. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელმა პარტიებმა ჯამურად საკმაოდ მნიშვნელოვანი ხმები რომ მიიღეს, ეს ნიშნავს, რომ ადამიანებისთვის წარსულისა და მომავლის გადაფასება მოხდა. ამდენად, ჩვენი დამოკიდებულებაც შესაბამისი და ადეკვატური უნდა იყოს. ჩვენ უნდა დავინახოთ ახალი რეალობა და ამ ახალ რეალობას უნდა ავუწყოთ ჩვენი პოლიტიკური პროცესი.

თუ ჩვენ ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული საკითხები წარმატებული გვგონია, ხალხს ეგრე არ ჰგონია. ამიტომ, ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ხალხისთვის მისაღები შედეგი გვქონდეს.

– „ქართული ოცნება“ არის მზად რადიკალური ცვლილებებისთვის? თუ გრძნობდით ხალხის უკმაყოფილებას?

– რა თქმა უნდა, საზოგადოების მხრიდან კრიტიკულ დამოკიდებულებას ვგრძნობდით, მაგრამ არ გვეგონა, რომ თუ ასეთი ფორმითა და ამ მასშტაბით გამოიხატებოდა ეს უკმაყოფილება. მე მაინც ვფიქრობ, რომ რესურსი არის. საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსები გვაქვს, რომ გადააზრება და ქმედებების ახლებურად დალაგება მოხდეს. მე ახლა საკმაოდ მნიშვნელოვან თვისობრივ ცვლილებებზე ვსაუბრობ. ვფიქრობ, ამას შევძლებთ.

– რამდენად უშვებთ, რომ ეს შედეგები განპირობებული იყო იქიდან გამომდინარეც, რომ სალომე ზურაბიშვილი არ იყო უშუალოდ „ქართული ოცნების“ წევრი კანდიდატი?

– შესაძლებელია, ერთ-ერთი ვარიანტი ესეც იყო, რადგან ამ შემთხვევაში ის ჩვენი შიდაპარტიული კანდიდატი არ ყოფილა. ის უფრო პარტიასთან დაახლოებული ადამიანი იყო. პარტიის კანდიდატს შესაძლებელია უფრო ეფექტური კამპანიის წარმართვის შესაძლებლობა მოეცა, ადგილობრივ ორგანიზაციებში პარტიულ მხარდაჭერას უფრო მეტი კავშირი ჰქონოდა, რაც უფრო დაეტყობოდა. თუმცა, ეს მაინც არ შეიძლება, ერთადერთ მიზეზად განვიხილოთ.

მე ვფიქრობ, რომ აქ მიზეზები უფრო კომპლექსურია. ეს შედეგი იყო არა ერთი ადამიანის, თუნდაც კანდიდატის ან ერთი რომელიმე შეცდომის ბრალი, არამედ მიზეზი კომპლექსური იყო. გარკვეული დასკვნა გააკეთა საზოგადოებამ, რაც არჩევნებზე აისახა.

მთავარი ამ შემთხვევაში მაინც არის ის, რომ ნება მკაფიოდ არის გამოხატული. არჩევნები თავისუფალ გარემოში ჩატარდა, ჩვენ გვაქვს დემოკრატიული ინსტიტუტები, რომლებიც ყოველთვის მიგვანიშნებს სწორი მიმართულებით. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღეთ სიგნალი და ამ სიგნალის მიხედვით მოხდება კურსის კორექტირება. სწორედ ამაში მდგომარეობს დემოკრატიის არსი.

– მეორე ტურში რა მოლოდინები გაქვთ? შეძლებს მანამდე სწორი მესიჯების დალაგებას, ამომრჩევლის შემობრუნებას?

– ამ შემთხვევაში არის ერთი პროცესი, რომელიც კონკრეტულად არჩევნებს უკავშირდება და არის მეორე პროცესი, რომელიც ზოგადად კრიტიკულ შეფასებას უკავშირდება. ორივე მიმართულებით სამუშაოა.

უახლოესი პერსპექტივის ამოცანაა ამომრჩეველთან მუშაობა. მეორე, გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც გითხარით, პარტიაში გადააზრება უნდა მოხდეს. მე ვფიქრობ, ერთდროულად შეიძლება ორივე მიმართულებით მუშაობა. ამ შემთხვევაში წარმატების საშუალება არის და, ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები საბოლოოდ წარმატებით დასრულდება.

– ბატონო დიმიტრი, ამ არჩევნების შედეგებამდეც ექსპერტები ჩვენთან ინტერვიუებში საუბრობდნენ, რომ ყველა შემთხვევაში შემდეგი ეტაპი მაინც კოალიციური მთავრობაა. რას იტყვით?

– მოდით, ასე ვთქვათ, კოალიციური მთავრობა არის პარლამენტში პარტიების ბალანსის შედეგი. ამ ეტაპზე „ქართულ ოცნებას“ საკმაოდ მყარი უმრავლესობა აქვს პარლამენტში. ამ ეტაპზე მთავრობის დასაკომპლექტებლად კოალიციები არ არის საჭირო.

2020 წლის არჩევნების შემდეგ იქნება თუ არა ამის საჭიროება, ამის წინასწარ განჭვრეტა ძალიან რთული იქნება.

– ვადამდელ არჩევნებზეა საუბარი თუ ოპოზიციური პარტიიდან ეყოლება ქვეყანას პრეზიდენტი?

– ვიღაცა ჩათვლის, რომ ეს არის კრიტიკული ზღვარი და ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოს. ვიღაცა კიდევ სხვანაირად ჩათვლის. ძალიან ბევრი აზრი შეიძლება ფორმირდებოდეს, მაგრამ მე არ ვთვლი, რომ დღეს პარლამენტი ფუნქციადაკარგულია. მას აქვს უნარი, რომ თავისი ფუნქცია და როლი შეასრულოს, პოლიტიკური კრიზისის ელემენტები არ ჩანს. შესაბამისად, დღეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საჭიროება არ არის. თუ ამის საჭიროება დადგება, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ აქამდე არ მივა საქმე.

ამ ეტაპზე არჩევნების ბოლომდე მიყვანა და გამარჯვება და ამ შედეგების ბოლომდე გააზრება და გამოსწორებაა საჭირო.

დავით ლორთქიფანიძე: „ქართული ოცნება“ გადასახალისებელია“

გულიკო ბალაძე

მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი **დავით ლორთქიფანიძე**, „ახალ თაობასთან“ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აანალიზებს.

– ბატონო დავით, მოელოდით თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში იმ შედეგს, რომელიც რეალურად დაფიქსირდა? ფაქტობრივად, ნაციონალები და მათი განაყოფები ჯამში „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს უსწრებენ.

– სიმართლე გითხრათ, ასეთ შედეგს არ მოველოდი, მაგრამ ვფიქრობდით, რომ ყველაფერი ისე არ დასრულდებოდა, როგორი მოლოდინიც გვქონდა, რადგან არჩევნების წინ გაჩნდა თემა, რომელმაც ჩვენ დაგვაზარალა, როგორც ხელისუფლება.

– კერძოდ, რამ დაგაზარალათ?

– ჯერ ერთი, ვერ მოხერხდა ჩვენი მხარდამჭერების მობილიზება. პარტიას არ ჰყავდა თავისი წიაღიდან გამოსული კანდიდატი. ვფიქრობ, არჩევნების შედეგზე ამანაც იქონია რეალური გავლენა. მეორე ტური წინაა. კარგი იქნებოდა, პირველივე ტურში დასრულებულიყო არჩევნები, მაგრამ, როგორც იტყვიან, არ არსებობს ცუდი კარგის გარეშე.

ახლანდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ძალიან სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს. ამას უნდა მოჰყვეს პარტიის შიგნით ძალიან ბევრი გადაწყვეტილება შიდა პოლიტიკური სიტუაციის გაჯანსაღებისთვის, უფრო მეტი ცნობადი ადამიანის, ერთგული თანამებრძოლების შემოყვანა, რომლებიც არა მხოლოდ 2012 წლიდან, არამედ მანამდე, 2007 წლის შემდეგ იბრძოდნენ წინა რეჟიმის წინააღმდეგ. ამ ადამიანების ჩართულობა მოგვცემს შედეგს.

– არჩევნებში არ იყვნენ ის ადამიანები, რომლებზეც თქვენ მიუთითებთ?

– ცოდვა გამხელილი სჯობს – ფაქტია, რომ ადგილებზე „ქართული ოცნების“ აქტივი ამ პროცესებში ბოლომდე ჩართული არ იყო. არ დავმალავ, რომ ქალაქის სხვადასხვა უბნიდან, ვანიდან მიკავშირდებიან და ჩვენი ერთგული მხარდამჭერები გამოთქვამენ ძალიან დიდ უკმაყოფილებას, რომ შტაბების მუშაობაში აქტიურად არ იყვნენ ჩართული. ელოდებიან, რომ მეორე ტურამდე ამ ადამიანებს შეხვდებიან, გეგმას შეიმუშავებენ, რაც შედეგს განაპირობებს. არ გვინდა, არსებულ რეალობას გავექცეთ. თუ გავექცევით, შედეგი იქნება ისეთი, რაც ახლა მივიღეთ.

– ერთადერთი, რაც გადაარჩენს „ოცნებას“, არჩევნებზე უფრო მეტი ამომრჩევლის მოყვანაა, რადგან ნაცმოძრაობა, ევროპული საქართველო და ლეიბორისტებიც თუ ვა შაძეს დაუჭერენ მხარს, ჯამში 50%-ს შეადგენს, უკვე მიღებული ხმებიდან გამომდინარე. ახლა როგორ მოახერხებს „ოცნება“ ხალხის მობილიზებას?

– მეც ამას ვამბობ – ჩვენი მხარდამჭერების მობილიზებაა საჭირო. საპარლამენტო არჩევნებში მიღებულ ხმებზე 200 ათასით ნაკლები ხმები მიიღო ჩვენმა მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ამ არჩევნებში. 200 ათასი ძალიან დიდი ციფრია ერთი წლის განმავლობაში, რაც ძალიან დიდი დაფიქრების საგანი უნდა იყოს. ყველაზე მეტად გულსატკენი ისაა, რომ პოლიტიკური ძალა, რომლის შედეგი 20-25%-ის ფარგლებში მერყეობდა ყველა არჩევნებში, დღეს ჯამში 40-45%-მდე ავიდა, რაც ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის ცუდი შედეგია. თუმცა, მომავალი პრეზიდენტის არჩევის საკითხმა, იმ უფლებების გამო, რომელიც მას მომავალში ექნება, ჩვენი ამომრჩევლის დიდ ინტერესი არ გამოიწვია.

მიუხედავად ყველაფრისა, მეორე ტურში ჩვენი მხარდამჭერების აბსოლუტური მობილიზება უნდა მოხდეს და ჩვენი ამომრჩევლების რეალური განწყობა მეორე ტურის შედეგში უნდა აისახოს მკვლელებისა და მწამებლების პარტიასთან ჭიდილში.

ამ პარტიის წარმომადგენელი არ მალავს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ყოფილ პრეზიდენტსა და თანამდებობის პირებს შეინწყალებენ, რომლებიც შემოქმედები იყვნენ დანაშაულებისა, რასაც წინა ხელისუფლება ახორციელებდა ქართველი ერის წინააღმდეგ.

– ეგ გასაგებია, მაგრამ იმ 9 წლის ნაიარევები ადამიანებს ან მოუშუშდათ, ტკივილები დაავიწყდათ და ახალი ხელისუფლებისაგან უფრო მეტს მოითხოვენ. არ ფიქრობთ, რომ მარიხუანის ე.წ. ლეგალიზაციის პროცესმა, მარიხუანის კულტივაციის პროექტმა ათქმევინა უარი ამომრჩევლის 50%-ს არჩევნებში მონაწილეობასა და „ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატზე?

– გასაგებია. მე ჩემი პოზიცია მკაფიოდ დავაფიქსირე. ეს ყველაფერი პირადულად დამაზარალებელი იყო.

– არ თქმულა და არაფერი გაკეთებულა სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ტელევიზიით გამოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ისეთ სიღატაკეში იმყოფებიან, პურს მიაყოლეს წყალი და არსებობის არავითარი საშუალება არ აქვთ. შეიძლება, ბიძინა ივანიშვილი ყოველ წუთში თვალყურს არ ადევნებდეს ტელევიზიას, მაგრამ „ოცნების“ პიარის სამსახურში მყოფი ადამიანები, რომლებიც უზარმაზარ ხელფასებს იღებენ, რას აკეთებენ, ხომ არ იცით? რატომ არ აწვდიან ინფორმაციას?

– ხელფასს რამდენს იღებენ, არ ვიცი, მაგრამ შედეგი ისაა, რაც მივიღეთ. ყველაფერი შედეგით უნდა განვსაზღვროთ. მე არავის ინტერესი არ მაქვს. პარტია გადასახალისებელია. კახა კალაძემ თქვა, პარტია გადასახალისებელიაო. პარტიაში ბევრი რამ შესაცვლელია. პარტიული ვერტიკალი თავიდან გადასალაგებელია. საჭიროა ახალი ადამიანების მიყვანა, „ქართული ოცნების“ ძველი გულშემატკივრების მობილიზება.

– ანუ ცვლილებები აუცილებელია?

– ცვლილებები უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული რეალობიდან გამოსვლა გაგვიჭირდება. აუცილებელია სერიოზული ანალიზი. აუცილებელია, თავიანთ მომხრე პოლიტიკოსებსაც მოუსმინონ. როდესაც პარტია შედეგს ვერ აღწევს, სამწუხაროდ, პარტიის ლიდერები შემდეგ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან.

ამიტომ პარტიის ლიდერების ინტერესში უნდა შედიოდეს ის, რომ პირუთვნელად დაერქვას თავისი სახელი. რაც მთავარია, „ქართული ოცნების“ ის მებრძოლები, რომლებიც იყვნენ ბიძინა ივანიშვილის გვერდით, ისინი ახლაც უნდა იყვნენ „ოცნების“ გვერდით და მაშინ ეშველება ამ საქმეს

– ბატონო დავით, ქუთაისში „ოცნებამ“ ძალიან დიდი პროცენტით წააგო. რას მიაწერთ ამას?

– არ ვიცი. ეგ უნდა ჰკითხოთ პარტიის რეგიონული სამსახურის უფროს დიმიტრი სამხარაძეს, რომელიც აგრეთვე პარლამენტის წევრია. ის ქუთაისელია.

– პასუხისმგებლობა მასაც ეკისრება? რა შეეძლო გაეკეთებინა რეგიონული სამსახურის უფროსს?

– დიახ, როდესაც პირწმინდად აგებს „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატი, ელემენტარულად, უნდა გადადგეს.

– ქუთაისის შედეგზე გამახსენდა. მიზეზი პარლამენტის თბილისში გადმოტანა ხომ არ არის? ამდენი წელი ითმინა „ოცნებამ“ და იარა ქუთაისში. მაინცდამაინც არჩევნების წინ რატომ გადაწყვიტეს პარლამენტის თბილისში გადმოტანა?

– შედეგი დამდგარია. ახლა საზოგადოებას უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, რა არის აუცილებელი. აუცილებელია პარტიაში სერიოზული ცვლილებები, პასუხისმგებლობის დაკისრება და იმ ადამიანების პასუხისგება, რომლებსაც ევალებოდათ საქმის კეთება და არ გააკეთეს. საჭიროა იმ ადამიანების ჩართულობა, რომლებსაც ქართველი საზოგადოება პატივს სცემს.

– „ოცნების“ მხარდაჭერილმა კანდიდატმა ბათუმშიც წააგო. ნაციონალები ზეიმობდნენ.

– სამწუხაროდ, „ოცნებამ“ ბათუმშიც წააგო.

– ბათუმში წაგების მიზეზი რა იყო, ვინ იყო კოორდინატორი?

– მე ასე ღრმად არ ვარ ჩახედული მაგ საკითხებში. თუ მომეცემა საშუალება, ამ საკითხებში სიღრმისეულად ჩავიხედო, გაძლევთ პირობას, საქართველოს არც ერთი რეგიონისა და სოფლის პრობლემა რეაგირების გარეშე არ დარჩება. ამ მოცემულობაში ჩართულობაა აუცილებელი. აქამდეც აუცილებელი იყო, მაგრამ, რადგანაც ბატონი კახი ამბობს, რომ მათ ეს ყველაფერი გამოეპარათ, მხოლოდ შიდა კვლევებს ეყრდნობოდნენ, მაშინ შიდა კვლევებს ვინც ატარებდა, გასცეს პასუხი, რატომ მივიღეთ ასეთ შედეგი.

– თქვენი აზრით, ადმინისტრაციული რესურსი რომელ კანდიდატს მოხმარდა? არ ფიქრობთ, რომ ადმინისტრაციული რესურსი ორსამ კანდიდატზე სალომე-ვა შაძე-ბაქრაძეზე გადანაწილდა?

– სამწუხაროდ, საჯარო სექტორის წარმომადგენლებმა, დიდი ალბათობით, მხარი არ დაგვიჭირეს. ეს განაპირობეს ნაცმოძრაობიდან „ოცნებაში“ პორტირებულებმა, რომლებიც გაჩვენებენ თეთრ კბილებს, მაგრამ, თუ საშუალება მიეცემათ, „ქართულ ოცნებაზე“ შურს იძიებენ. ამ რეალობას თვალებში უნდა შეეხედოთ. ამ ადამიანების ჩამნაცვლებელი ადამიანები გამოუყენებლები, უმუშევრები დადიან.

რომან კაკულია: „არჩევნების შედეგები იყო პასუხი იმ იმედგაცრუებაზე, რომელიც საზოგადოებამ ჩვენი მმართველობის პერიოდში განიცადა“



– არჩევნების შედეგები იყო პასუხი იმ იმედგაცრუებაზე რომელიც საზოგადოებამ ჩვენი მმართველობის პერიოდში განიცადა, განსაკუთრებით კი ბოლო 2 წლის განმავლობაში, – ასე აფასებს „ქართული ოცნების“ წევრი რომან კაკულია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს.

– იყო გარკვეული მოულოდნელობის მომენტი. ხმების რაოდენობა რომელიც მიიღო ნაციონალურმა მოძრაობამ ითხოვს იმ პრობლემების გაანალიზებას, რომელიც ჩვენ ისედაც გვქონდა დაფიქსირებული. ეს იყო ერთგვარი შურისძიება „ქართული ოცნების“ მიმართ იმ ამომრჩევლების მხრიდან, რომლებიც მისივე ამომრჩევლები იყვნენ და 2012 წლის შემდეგ გარკვეული ტიპის იმედგაცრუება განიცადეს. ვფიქრობ, რომ ადამიანებს რომლებიც არ მივიდნენ არჩევნებზე არ ეგონათ, რომ შესაძლებელი იყო ნაციონალური მოძრაობის ასეთი ხარისხის რეინკარნაცია. ასეთი ადამიანების რიცხვი დაახლოებით 30 პროცენტია. ჩემი აზრით, როდესაც ისინი ამას გაიზიარებენ, უფრო კეთილგონიერები იქნებიან ჩვენს მიმართ კი არა, ზოგადად ქვეყნის მომავლის მიმართ. მივლენ არჩევნებზე და სათანადოდ შეაფასებენ იმ ყველა საფრთხეს, რომელიც შემოთავაზებული ალტერნატივიდან მოდის, – განაცხადა რომან კაკულიამ.

რომან კაკულია თვლის, რომ არსებული შედეგი სალომე ზურაბიშვილის ფაქტორით არ არის განპირობებული. დეპუტატი განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევებს ნაციონალური მოძრაობა საკუთარი პიარისთვის წარმატებით იყენებს:

– ნაციონალური მოძრაობა ერთეულ შემთხვევებს ტენდენციებად წარმოაჩენს ხოლმე. ამას ხელი შეუწყო სარალიძის საქმემ, სასამართლოში არსებულმა გამოწვევებმა. ვინც თვლის, რომ სასამართლომ პროგრესი არ განიცადა ობიექტურობისგან მოწყვეტილია ან პოლიტიკური ინტერესი ამოძრავებს. მაგრამ ვინც თვლის, რომ სასამართლო სისტემაში პრობლემები არ არის ის ხელისუფლებაში ყოფნის ღირსი არ არის. პროგრესი, რა თქმა უნდა დიდია, თუმცა საზოგადოება მხოლოდ პრობლემას ხედავს და წარმატებას ივიწყებს. ბევრი რამე დაგროვდა ისეთი, სადაც მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს, – აცხადებს რომან კაკულია.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე თვლის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოების განწყობა ვერ აღიქვა და უნდა გამოფხიზლდეს.

– ჩვენ ეს 6 წელი გავიარეთ ისე, როგორც გავიარეთ, ყველა შეცდომა, რომელიც დაშვებული იყო ამას ადამიანები ხედავენ, მაგრამ არსებობს ობიექტური მიზეზი, რომელსაც ვერავინ გადალახავდა და არსებობს ის, რაც შენი უმოქმედობით არის გამოწვეული ან შენი არა კვალიფიციურობით. თუ მკაფიო სურათს შევუქმნით საზოგადოებას რა მოხდა რეალურად, ჩვენი წვლილი სადაა, ჩვენი დანაშაული სადაა და, თუ დაგვიჯერებენ, რომ ამის სერიოზულ გაანალიზებას ვახდენთ, მაშინ შესაძლოა ისიც დაგვიჯერონ, რომ ჩვენ ამის გამოსწორების უნარი გვაქვს, – განაცხადა რომან კაკულიამ.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე კომერსანტთან საუბრისას მოსახლეობის იმედგაცრუების მიზეზებს განმარტავს:

– ჩვენ ყოველთვის ვაზვიადებდით იმ შესაძლო მიღწევებს რომელიც შეიძლება 4 წლის თუ 2 წლის განმავლობაში იქნეს მიღწეული იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიკური მოცემულობის ქვეყანაში გაკეთებადი სხვა რამეა და ჩვენ სხვა მასშტაბის წარმატებას ვაანონსებდით, რაც თავის თავად, უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებდა, ხოლმე შემდეგ, როგორც ანგარიშგების თვალსაზრისით ასევე ზრდიდა იმ იმედგაცრუებულ ადამიანთა რაოდენობას, რომლებსაც ჩვენი სჯეროდათ, – განმარტავს რომან კაკულია.

რომან კაკულია ამბობს, რომ არჩევნების შედეგები მისთვის კარგი გაკვეთილია. დეპუტატი იმედი აქვს, რომ არსებული ვითარება მისი გუნდის სხვა წევრებისთვისაც გაკვეთილი იქნება.

– სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები არიან გუნდში, განსხვავებული ასაკით და გამოცდილებით. ადამიანებს იმისთვის, რომ შემობრუნდნენ მცირე ინფორმაციაც ჰყოფნის, ზოგს მეტი სჭირდება ზოგს საერთოდ თუ არ შემოულაწუნე ვერ ხვდება ვერაფერს. კურსი და აღდეკვატურობის ხარისხი, რომელიც ჩვენ გვქონდა თურმე არ ყოფილა საკმარისი. ტენდენცია არ არის დადებითი და რაც უფრო დროზე გავაკეთებ მობილიზებას მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვისაც და პარტიისთვისაც, – აცხადებს რომან კაკულია.

„ქართული ოცნებების“ წარმომადგენლები და თავად ფრაქციის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილიც აღნიშნავს, რომ მმართველი გუნდის ერთ-ერთი წარუმატებლობის მიზეზი არაკვალიფიციური კადრები, რომელთა თავდაჯერებულობამაც ხელისუფლება შეიძლება ითქვას ჩიხში შეიყვანა. კომერსანტის კითხვაზე ვინ არიან თუ არა მმართველ გუნდში თვითდაჯერებული ლიდერები, რომელთა ჩანაცვლებაც ივანიშვილს უკვე დაგეგმილი აქ რომან კაკულიას პასუხი შემდეგია:

– მე მირჩევნია გუნდის შიგნით ვისაუბრო ვისი თავდაჯერებულობა არ მიმაჩნია ობიექტურად, თუმცა გეტყვით, რომ ადამიანს ყველაზე მეტად არა საფუძვლიანი თავდაჯერებულობა ღუპავს. ყველა აზვიადებს თავის შესაძლებლობას ალბათ მეც, მაგრამ არსებობს გონივრულობის ხარისხი, რომლის იქითაც არ უნდა გადახვიდე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების მიზანი ამ პრობლემების მოგვარებაა. მთავარია, რას ჩათვლის ის ამ პრობლემების მოგვარების გზად და რა ტიპის გადაწყვეტილებებს მიიღებს. იმედი მაქვს, რომ გადადგამს ისეთ წინდახედულ ნაბიჯებს, რომელიც მან 2012 წელს გადადგა. ჩემი აზრით, ბოლო მისი გამოსვლა ეს იყო 2012 წლის ბიძინა ივანიშვილი, რამაც ბევრს იმედი ჩაუსახა, – განაცხადა რომან კაკულიამ.

ირაკლი ქარსელაძე: „პრობლემური ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებლები ძირითადად უცხოური კომპანიები არიან“

რამდენიმე დღის წინ ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ „არის მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ჩამორჩება გეგმას. მაგრამ ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ უმეტესის დაკონტრაქტებას მოვახდენთ და თანხასაც გადავცემთ“.

რა პროექტები აქვს მხედველობაში ივანე მაჭავარიანს და იზიარებს თუ არა მის ოპტიმიზაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ამ თემაზე „კომერსანტი“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე **ირაკლი ქარსელაძეს** ესაუბრა:

– ვაკეთებთ მაქსიმუმს იმისთვის, რომ წლის ბოლომდე მოესწროს რამდენიმე მსხვილი პროექტის დაკონტრაქტება, თუმცა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ყველა ტენდერი დაიწყოს და დასრულდეს საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით, მიუხედავად იმისა, ესწრება თუ არა ბიუჯეტის შესრულება. რაც შეეხება ჩამორჩენას, სამინისტროს 9 თვის ბიუჯეტი შესრულდა 80%-ით და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს.

პირველ რიგში, ესაა ბიუჯეტის ზედმეტად ოპტიმისტური და არასწორი დაგეგმარება, ასევე – საპროექტო და სამშენებლო კომპანიების მხრიდან სამუშაოების შესრულების დაგვიანება და განსახლების პროცესში შექმნილი პრობლემები.

– კონკრეტულად რომელ პროექტებშია ჩამორჩენა?

– პრობლემურია სამტრედია-გრიგოლეთის გზის პროექტი და სხვადასხვა მონაკვეთზე სირთულეც განსხვავებულია. როგორც ცნობილია, პირველ მონაკვეთზე უკრაინულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილია და ამ პროექტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. ახალმა გამარჯვებულმა კომპანიამ 1 ნოემბრამდე უნდა წარმოადგინოს გარანტია, რის შემდეგაც გაფორმდება ხელშეკრულება. მეორე და მეოთხე მონაკვეთზე, სადაც ჩინური კომპანიები მუშაობენ, მიწის ჯდენების გამო, მნიშვნელოვნად შეფერხდა გზის საფარის მოწყობა. მესამე მონაკვეთზე, იტალიურმა კომპანიამ უკვე 1 წლის განმავლობაში არ დაიწყო სამუშაოები. ყველა შემთხვევაში, სადაც კონტრაქტორი არ თუ ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული ღონისძიებები ხელშეკრულების შესაძლო შეწყვეტის ჩათვლით.

– სხვა პროექტების შემთხვევაშიც არის იგივე პრობლემები?

– სამწუხაროდ, არის. კომპანიების მიზეზით ვადის დაგვიანებასთან გვაქვს საქმე ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის შემთხვევაში, სადაც დაგეგმილი 80 მილიონი ლარის სამუშაოდან წლის სავარაუდო შესრულება ამ თანხის დაახლოებით ნახევარი იქნება. მსგავსი პრობლემებია ჟინვალი-ბარისახოს მონაკვეთზეც, თიანეთისა და ატენი-ბოშურის გზებზე, ალპანა-მამისონის გზის მონაკვეთსა და მთის გზების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ პროექტებზე...

– რამდენად ჩვენთვის ცნობილია, არსებობს განსახლებასთან დაკავშირებული პრობლემები...

– ხელისშემშლელი ერთ-ერთი ფაქტორი ნამდვილად არის განსახლების პროცედურების ვადის არასწორი გათვლა, მაგალითად: ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობისთვის წელს დაგეგმილი იყო 70 მილიონი ლარის ათვისება, საიდანაც 9 თვის მონაცემებით ათვისებულია მხოლოდ 16 მილიონი, წლის ბოლომდე კი ჯამური ათვისება 24 მილიონ ლარამდე იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა, აქ, 14 კმ-იან მონაკვეთზე, ჯერაც დარჩენილია 6 გამოსასყიდი სახლი და ნაკვეთი. გამოსყიდვის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები გვაქვს თბილისი-რუსთავის გზის მშენებლობასა და კიდევ რამდენიმე პროექტზე. ზოგადად, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ არა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები, სამინისტროს 2018 წლის 9 თვის ბიუჯეტის 100%-იანი ათვისება იქნებოდა შესაძლებელი.

– რას აკეთებს სამინისტრო იმისათვის, რომ ბიუჯეტის ათვისებაში ჩამორჩენა წლის ბოლომდე მინიმუმამდე დავიდეს?

– სამინისტროს ასიგნებებში არსებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად ათვისების და სხვა უმნიშვნელოვანეს პროექტებზე ამ თანხების მიმართვის მიზნით, გადავხედეთ პრიორიტეტებს და მიმდინარესთან ერთად დავიწყეთ ახალი პროექტების განხორციელება. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უკვე გააფორმა 30-მდე ახალი ხელშეკრულება და გამოაცხადა 436 მილიონი ლარის ღირებულების 70-მდე ახალი ტენდერი. ამასთან, დაგეგმილზე მეტი ღირებულების სამუშაო შეასრულა დეპარტამენტმა გზების რეაბილიტაციის და ნაპირსამაგრების მოწყობის მიზნით განხორციელებული სამუშაოების მიმართულებითაც. გზების ბიუჯეტი სამინისტროს ბიუჯეტის 65%-ზე მეტია და მთლიანი ბიუჯეტის აუთვისებლობის 76%-მდე გზების დეპარტამენტზე მოდის. რაც შეეხება სხვა საქვეუწყებო დაწესებულებებს, მუნიციპალური განვითარების ფონდის, გაერთიანებული წყალმომარაგებისა და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიების 9 თვის ბიუჯეტის დაახლოებით 90%-ია ათვისებული, წლიურ ჭრილში კი დაგეგმილია 100%-ით შესრულება.

– რა პრევენციულ ზომებს მიმართავს სამინისტროს ხელმძღვანელობა 2019 წლის ბიუჯეტის უფრო ეფექტიანი დაგეგმვის მიზნით?

– ცვლილებებს ბევრი მიმართულებით ვახორციელებთ, ესაა – პროექტების მიღება-ჩაბარების ახალი ინსტრუქციის დამტკიცება, პირგასამტეხლოების მექანიზმის დახვეწა, სტრუქტურული და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრა, რაც ითვალისწინებს ახალი მაგისტრალური გზების პროექტებთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევას და წინასწარ განსაზღვრას. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სხვადასხვა სფეროს გაძლიერების საჭიროება: საინჟინრო-ტექნიკური, გარემოს დაცვის, პროექტების მართვის და სხვა მიმართულებები. ასევე იგეგმება, თანამშრომლების გადამზადება სასწავლო კურსების, გაცვლითი პროგრამებისა და წარმატებულ ორგანიზაციებში პრაქტიკული ტრენინგების საშუალებით.

პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში 250 კომპანია გაერთიანდა

BBC-ის ინფორმაციით, 250-მა მსხვილმა კომპანიამ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც 2025 წლისთვის პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ გაერთიანებულ ბრძოლას შეეხება. აღნიშნულ კომპანიებს შორის Coca Cola, H&M, L'Oreal და სხვები შედიან.

კომპანიების განცხადებით, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის 100% გადამუშავებას დაექვემდებარება. აღნიშნული კამპანიის უკან ფონდი Ellen MacArthur დგას, რომლის განცხადებითაც, კამპანიის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მსოფლიო ოკეანეში მოხვედრილი პლასტმასის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

BBC-ის თანახმად, 1950-იანი წლების შემდეგ დაახლოებით 8.3 მილიარდი ტონა პლასტმასის პროდუქტი იქნა წარმოებული, რომლის 60%-ზე მეტი დღეს გარემოს აბინძურებს.

გარემოსდამცველების განცხადებით, აღნიშნული კამპანიის შედეგად, ადამიანები ისეთ პროდუქციას შეიძენენ, რომელიც გადამუშავებადი იქნება. ეს კი სხვა კომპანიებსაც ანალოგიური პროდუქციის წარმოებისკენ უბიძგებს.

ირაკლი იაშვილი: „მოსახლეობამ წითელი არა, მაგრამ ყვითელი ბარათი ნამდვილად აჩვენა „ქართულ ოცნებას“

ცესკოს წინასწარი შედეგებით, ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართება. 2018 წლის 29 ოქტომბრის, 11 საათის მონაცემების მიხედვით, საარჩევნო უბნების თითქმის 100 პროცენტის დათვლის შემდეგ, სალომე ზურაბიშვილს ხმათა 38.63 პროცენტი აქვს, გრიგოლ ვაშაძეს კი 37.74 პროცენტი. მესამე ადგილზეა დავით ბაქრაძე 174.699 ხმით, რაც ხმათა საერთო რაოდენობის 10.97 პროცენტს შეადგენს. დანარჩენმა კანდიდატებმა ხმათა ოთხ პროცენტზე ნაკლები მოაგროვეს.

შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით „კომერსანტი“ ბიზნესის შეფასებით დაინტერესდა. კერძოდ, ამდენი ხნით საარჩევნო გარემოში ცხოვრება ბიზნესზე როგორ აისახება, რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის რომელი პარტიის პრეზიდენტი ეყოლება – მმართველი გუნდის თუ ოპოზიციის. ამ და სხვა საკითხებზე „კომერსანტთან“ ბიზნესმენმა, „ისთ გეით ჯგუფის“ დამფუძნებელმა ირაკლი იაშვილმა ისაუბრა.

მისი შეფასებით, წინასწარ შედეგებზე დაყრდნობით რთულია საუბარი, თუმცა, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გაიმარჯვა, მაშინ მეხსიერებაში ის პრობლემები ამოიწევს, რაც ბიზნესს მათი მმართველობის პერიოდში ჰქონდა.

– თუ გრიგოლ ვაშაძის გამარჯვება უდრის იმ პრობლემების უკან დაბრუნებას, რაც მაშინ იყო, ეს საშინელებაა. განცხადებების დონეზე რასაც მე ვისმენდი, ტოლობის ნიშანი არ არის. ამბობენ, გავითვალისწინეთ ის შეცდომებიო. თუმცა, მნიშვნელოვანი რა არის იცით? ის შეცდომა კი არა, ბოროტება იყო, – განმარტავს იაშვილი.

ბიზნესმენი აცხადებს, რომ ნორმალურ ქვეყანაში პრობლემა არც მეორე ტური იქნება, თუ ის დემოკრატიულად ჩაივლის. იაშვილი თავის პოლიტიკურ გამოცდილებასაც იშველიებს და აცხადებს, რომ მან კარგად იცის რა მოჰყვება იმას, თუ იმარჯვებს ოპოზიციური კანდიდატი. მისი განმარტებით, დაიწყება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რაც ქვეყნის რყევას გამოიწვევს. იაშვილის განცხადებით, თუ გაგრძელდება დემოკრატიული პროცესი და მოვლენები კონსტრუქციულად განვითარდა, არაფერი პრობლემა არც ბიზნესისთვის, არც ეკონომიკისთვის და არც ქვეყნისთვის არ იქნება.

– დავით უსუფაშვილს რომ გაემარჯვა, ჩემთვის გასაგები იქნებოდა, რომ რყევები არ იქნებოდა. ამ შემთხვევაში, თუ გაიმარჯვა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, ეს ნიშნავს იმას, რომ მათი ხელისუფლებაში დაბრუნების ალბათობა გაიზარდა. თუ მათი მობრუნება უდრის იმას, რასაც აკეთებდნენ თავისი მმართველობის პერიოდში, ეს კატასტროფა იქნება, ქვეყანა ჩამოიშლება. კეზერაშვილები და მსგავსი ხალხი თუ დაბრუნდა უკან და ბიზნესების გადაფორმებების სერია ისევ დაიწყო, ამის წარმოდგენაც არ მინდა, – აცხადებს იაშვილი.

„კომერსანტის“ კითხვაზე, რა შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ, რის გამოც 6 წელიწადში მოსახლეობის ნდობა დაკარგა და მის მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა, მიუხედავად სახელისუფლებო რესურსისა და ყველაზე მეტი ფულისა, პირველ მაინც ტურში ვერ გაიმარჯვა, იაშვილი აღნიშნავს, რომ უშეცდომო ხელისუფლება არ არსებობს. მისი განცხადებით, ამ მთავრობამაც დაუშვა შეცდომები, თუმცა, ბოროტება არ ჩაუდენია.

როგორც იაშვილი აცხადებს, ქვეყანაში დაგროვდა ბევრი საკითხი, ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი და არჩევნების დროს გამოხეთქა.

– მოსახლეობამ წითელი არა, მაგრამ ყვითელი ბარათი ნამდვილად აჩვენა „ქართულ ოცნებას“. მეორე ტურში ოპოზიციურმა კანდიდატმა თუ გაიმარჯვა, წითელი ბარათი ეს იქნება. ამას კი ძალიან მძიმე გაგრძელება მოჰყვება, – აცხადებს იაშვილი.

და ბოლოს, იაშვილი მომავალ პრეზიდენტს რჩევასაც აძლევს:

– ბოლო 6 წლის შეცდომების გათვალისწინებას და განსაკუთრებით წინა ხელისუფლების 9-წლიანი პერიოდის დროს დაშვებული შეცდომების გათვალისწინებას ვურჩევ. თავში არ გაივლოს ის, რომ ძალადობა დაიწყოს ეკონომიკაზე და ბიზნესზე. თუ ნაციონალური მოძრაობა კიდევ აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, თავში არ გაივლონ, რეანიმაცია გაუკეთონ იმ ბოროტებას, რაც მაშინ ხდებოდა. ეს არ იფიქრონ, თორემ ქვეყანა ჩამოიშლება, – აცხადებს იაშვილი.

აფეთქებული საყდრისი!

თუ გახსოვთ, მთელი ხალხი გამოვიდა საყდრისის დასაცავად, რომ არ აეფეთქებინათ. როგორც მიწყნარდა ყველაფერი, ბიძინამ ააფეთქა. იულიუს კეისარმა თქვა, დაკარგვით ის არ კარგავს, ვისაც არც რა აქვს დასაკარგი. ბიძინა რამეს დაკარგავს?! ამ ისტორიული ძეგლის აფეთქება იმით ახსნა, საქართველოს დიდ შემოსავალს მოუტანსო. საყდრისის აფეთქების შედეგად მოპოვებული ოქროთი დიდი ფული გააკეთა და არც ერთი თეთრი არ შეუტანია ბიუჯეტში. ახლა ეს კაცი პლანზეა გადასული და პლანტაციები უნდა გააშენოს. ამასაც გააკეთებს. საქართველო ხომ მისი საკუთრებაა და ამაზე ხალხი ხმას არ ამოიღებს. ჩვენი მამამთავარი ბიზნესს არავის დაანებებს. გამოდის ტელევიზიით და რაღაც ზღაპრებს გვიყვება. რამდენი მთავრობა გამოვიცვალეთ და საყდრისის აფეთქების იდეა არავის მოსვლია თავში აზრად. ამას საპატრიარქო არ გაპატიებს. აფსუს, რა კაცი მოგვიკლეს – ბადრი პატარკაციშვილი. ბადრი იმას, რასაც ბიძინა კადრულობს, არასდროს იკადრებდა. ბადრისთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. როდესაც სტუმრები ჩამოსდიოდნენ უცხოეთიდან, ჩემთან მოჰყავდა რესტორანში – რუსთაველზე „ნიკალაში“. მაშინ „ნიკალას“ მეპატრონე ვიყავი, დამირეკავდა და მეტყოდა, შენებურად გამიწყვე სუფრაო. რესტორანს ვკეტავდით. ის ძალიან კმაყოფილი მიდიოდა. ბადრი უზომოდ თბილი და კეთილი ადამიანი იყო. მიმტანებს დოლარებით პატივს სცემდა. ის უაღრესად განათლებული კაცი იყო. სტუმრებს ინგლისურად თავისუფლად ელაპარაკებოდა. ბადრის საქართველო და ქართველი ხალხი ძალიან უყვარდა. ვინც ის მოსაკლავად გაიმეტა, მთელი ცხოვრება დაწყევლილი იქნება. ბადრი ძალიან მიყვარდა – თავისუფალი და კეთილი იყო.

ჩვენ კი დღეს ერთი კაცის „ხუშტურებზე“ ვცხოვრობთ. რაგბისტებს სტადიონი აუშენაო, ეს კარგი, მაგრამ ის კი ცუდია, როცა ტყიბულის ახლომახლო სოფლებში ბავშვებს პური ენატრებათ. ჩადით, ბატონო და თქვენი თვალით ნახეთ, ჩემი თუ არ გჯერათ. ახლა შევეხოთ შევარდნაძის შეცვლილ ბრძანებას მკვლელობის შესახებ. არც ერთი მთავრობის დროს ამდენი მკვლელობა არ ყოფილა. შევარდნაძე სამეგრელოში რომ ჩავიდა, ქალებმა „ნიფხავი“ ჩაიხადეს და შევარდნაძეს ტრა...ები აჩვენეს. ედუარდ ამბროსიევიჩი ეგრევე „მოტყდა“. მერე ადგა და მეგრელების გულის მოსაგებად დახვრეტის მუხლი სამუდამო პატიმრობით შეცვალა, არადა, ლოთი ქობალია დაჭერილი იყო დახვრეტის მუხლით. ლოთის გამო შეცვალა, რათა სამეგრელოში სიმპათია დაემსახურებინა. ამით მკვლელობა საქართველოში ასი პროცენტით გაიზარდა. დახვრეტის მუხლი უნდა შეიტანო კონსტიტუციაში, მკვლელმა რომ იცოდეს, თუ კაცს მოკლავს, დახვრეტენ. ამას შიშის გამო მკვლელი აღარ ჩაიდენს. ბევრი კანონია შესაცვლელი. ბატონო ბიძინა, „პათხალიმებს“ ნუ უჯერებთ, ჯობია, ხალხს დაუჯეროთ. ჩვენი ხალხი ბრძენია. ვენაცვალე სოსო ცინცაძეს. ის არის დიპლომატი კაცი. სოსო ჩემი მეგობარია. ჟურნალი სარკის №42-ში კარგი წერილი დაწერა სალომე ზურაბიშვილზე. წაიკითხეთ, ბატონო ბიძინა, იქნებ წითელი და შავი გაარჩიოთ. ჰკითხეთ სალომე ზურაბიშვილს, გია მაისაშვილი რა ვითარებაში გარდაიცვალა. გია ჩემი ახლობელი კაცი იყო. ის ამერიკაში ცხოვრობდა. უაღრესად განათლებული, ჭკვიანი, ნაღდი დიპლომატი. ცოლი ამერიკელი ჰყავდა და ნიუ იორკში ცხოვრობდნენ. გია ხუხაშვილი გყავდეს კაცს – ეს განათლებული პოლიტოლოგი და საღად მოაზროვნე კაცი. მრჩევლად აგეყვანათ და ბევრ სასიკეთო საქმეს გაგიკეთებდათ, მაგრამ თქვენ რად გინდათ მრჩეველი?! თქვენი თავისთვის ისედაც დიდებული მრჩეველი ხართ.

ირაკლი (იბო) დოლიძე

ბატონო ბიძინა, ლევან კობიაშვილი მომიკითხეთ, გრანტიჭამია. იცოდეთ, თანამდებობა დროებითია, კაცურკაცობა სიკვდილამდე რჩება.

გორთან ავარიას 2 ადამიანი ემსხვერპლა

გორთან მომხდარ ავარიას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. არიან დაშავებულებიც.

გორი-კარალეთის მონაკვეთზე ერთმანეთს ბმვ და მინივენი შეეჯახნენ.

ავარიის შედეგად 30 წლამდე ასაკის 2 მამაკაცი შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა. 3 დაშავებული კი მრავლობითი დაზიანებებით სამედიცინო ცენტრ „გორმედში“ გადაიყვანეს.

სამივე მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

– შემოყვანილი სამივე პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. დაშავებულთაგან სამივე მამაკაცია. მათ სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები აღენიშნებათ. სამივე პაციენტი მოთავსებულია რეანიმაციულ განყოფილებაში. უტარდებათ ყველა საჭირო კვლევა და კვლევების პარალელურად მიმდინარეობს გადაუდებელი რეანიმაციული ღონისძიებები, – განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ექიმმა ლექსო ხეთაგურმა.

ბათუმში ორი კაცი დაჭრეს

გუშინ, 29 ოქტომბერს, ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩაზე, ორი კაცი დაჭრეს.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, ჭრილობები მიყენებულია ცივი იარაღით: „ერთს ბარძაყის არეში აქვს ჭრილობა, მეორეს დაზიანებული აქვს ხელი“.

ორივე დაჭრილი გადაყვანილია საავადმყოფოში.

ფაქტზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ბათუმელები

თბილისში მტკვარში მანქანა გადავარდა

გუშინ, 29 ოქტომბერს, თბილისში, მდინარე მტკვარში, ბმვ-ს მარკის ავტომობილი გადავარდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ავტომობილი ჯერ ჯებირს შეეჯახა, შემდეგ კი მტკვარში გადავარდა.

ავტომობილის მძღოლი ცოცხალი გადარჩა. მაშველებმა 21 წლის მამაკაცი უვნებლად ამოიყვანეს.

ნიუპოსტი

26-ე სკოლაში მე-9 კლასელებმა სკოლის შენობაში იჩხუბეს

როგორც „ნიუპოსტისთვის“ გახდა ცნობილი, თბილისის 26-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ფიზიკური გარჩევა სკოლის შენობაში მოხდა.

ერთ-ერთ მოსწავლეს აღენიშნება სხეულის დაზიანება, თუმცა, რითია მიყენებული ეს დაზიანება, ჯერჯერობით უცნობია.

„ნიუპოსტისთვის“ ასევე, ცნობილი გახდა, რომ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ საპატრულო პოლიცია და სასწრაფო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

ავარია თბილისში – დაიღუპა 1 პირი

მსხვერპლით დასრულდა თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა.

მსუბუქი ავტომობილი ხეს შეეჯახა, დაღუპულია 1 ადამიანი. ავარიის დროს დაშავდა 1 ადამიანი.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანა საპროცესო კოდექსში ცვლილებების მიზეზი გახდა

ფარული და ასევე კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება სამოხელეო დანაშაულებზეც იქნება შესაძლებელი.

მოქმედი კანონმდებლობით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების და კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შესაძლებელია, თუ გამოძიება დაწყებულია და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან „სისხლის სამართლის კოდექსის“ შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო.

მთავრობა პარლამენტს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებებს სთავაზობს, რომელთა მიხედვით, ამ მუხლების ჩამონათვალს სამოხელეო დანაშაულების მთლიანი თავი ემატება. კანონპროექტის განმარტებით ბარათში ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა ყურადღება გამახვილებული.

განმარტებით ბარათში წერია, რომ მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტის გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო უწყება, კანონის დებულებებიდან გამომდინარე, მოკლებული იყო შესაძლებლობას, მობილური ოპერატორებისგან გამოეთხოვა ელექტრონული ინფორმაცია ცალკეული პირების სატელეფონო კავშირების და მომსახურე ანძების შესახებ, რაც, ევროპული სასამართლოს დიდი პალატის აზრით, უნდა გაკეთებულიყო.

„2017 წლის 28 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეზე – „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც დაადასტურა, რომ ივანე მერაბიშვილის დაკავება და წინასწარი პატიმრობა (რომელიც 2013 წლის მაისიდან 2014 წლის თებერვლამდე გაგრძელდა) კანონიერი იყო.

დიდმა პალატამ გასაჩივრებულ მუხლებთან მიმართებით ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 5.1 მუხლი, აგრეთვე 5.3 მუხლი (რაც ივანე მერაბიშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ეხება). ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა კონვენციის 5.3 მუხლის დარღვევა საქართველოს სასამართლოს 2013 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის გამო.

ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე, 9 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში – 2013 წლის 14 დეკემბრის ინციდენტიდან გამომდინარე (ივანე მერაბიშვილის ღამით საკნიდან შესაძლო გაყვანის ეპიზოდი). ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამ ეპიზოდთან მიმართებით დადგენილი დარღვევა განპირობებულია, სხვებს შორის, იმ გარემოებით, რომ 2013 წლის 14 დეკემბერს 39 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მომჩივნის, ი. მერაბიშვილის შესაძლო გაყვანის ფაქტის გამოძიების მიზნით, ვერ მოხდა მის მიერ დასახელებული შესაბამისი პირების სატელეფონო ჩანაწერებისა და მობილური კავშირის ანძების მონაცემების შემოწმება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის 21 ივნისს, ი. მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანასთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილი). მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სატელეფონო კავშირებისა და ანძების გადამოწმების შესაძლებლობას, სსსკ-ის XVI თავის (კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები) 136-ე მუხლის (დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა) პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია, გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, იმ საგამოძიებო მოქმედებებზე, რომლებიც აღნიშნული მუხლითაა გათვალისწინებული, ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143/2-143/10 მუხლების დებულებები, რომლებიც ზემოთ არის მიმოხილული.

აქედან გამომდინარე, ი. მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტის გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო უწყება, კანონის დებულებებიდან გამომდინარე, მოკლებული იყო შესაძლებლობას, მობილური ოპერატორებისგან გამოეთხოვა ელექტრონული ინფორმაცია ცალკეული პირების სატელეფონო კავშირების და მომსახურე ანძების შესახებ, რაც, ევროპული სასამართლოს დიდი პალატის აზრით, უნდა გაკეთებულიყო.

საქართველოს მთავრობის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება კანონში არსებული ჩანაწერის გამო იყო შეუძლებელი, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა. აღნიშნულ საქმეზე განახლებული გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო უწყება მოქმედი კანონმდებლობით ამჟამადაც მოკლებულია ამგვარი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობას“, – ნათქვამია განმარტებით ბარათში, რომელიც „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტს ახლავს თან.

ცვლილებები იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა და ის პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარედგინება.

სანდრო გირგვლიანის საქმეზე დათა ახალაიას პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სანდრო გირგვლიანის საქმეზე დათა ახალაიას 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ის ასევე დამნაშავედ ცნეს ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის ეპიზოდზე და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ნინო ნაჭყებიამ გუშინ, 29 ოქტომბერს, გამოაცხადა.

დათა ახალაია სასამართლომ დამნაშავედ ცნო უფლებამოსილების გადამეტებაში, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთასა და ადამიანის ღირსების შემლახავ, დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენების გამო. ახალაიას სანდრო გირგვლიანის, ლევან ბუხაიძის, კახა დაბრუნდაშვილის და ვამეხ აბულაშვილის ეპიზოდზე საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით და 6 თვის ვადით პატიმრობა და 1 წლის და 6 თვის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლება.

სასამართლო სხდომას დავით ახალაიას ადვოკატი, ნინო ბერიშვილი, არ დასწრებია. როგორც ის „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აცხადებს, მისთვის უცნობია, ახალაია აღნიშნულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს თუ არა.

– პიროვნება ძებნილია და უფლებამოსილი არ ვარ, მე გავასაჩივრო. დათა ახალაიასთან კავშირი არ მქონია, შესაბამისად, გაასაჩივრებს თუ არა ის ამ გადაწყვეტილებას, ამ ეტაპზე უცნობია. იმედია, გაასაჩივრებს, – აცხადებს ადვოკატი.

ის სარეზოლუციო ნაწილს ჯერ არ გასცნობია. ბერიშვილის განმარტებით, დაცვის მხარემ დავით ახალაიას დაცვის უფლება სრულყოფილად ვერ განახორციელა.

– დასაბუთებულ ნაწილს როცა გავეცნობი, მეცოდინება, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ. ფაქტობრივად, დაცვა ვერ განხორციელდა, რადგან მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე თანაბარ პოზიციაზე არ ვიყავით ბრალდების მხარესთან.

გირგვლიანის საქმეზე დათა ახალაიას ორგანიზატორობას ედავებოდნენ. ბრალდების მტკიცებით, ახალაიამ გაუწია ამ საშინელ დანაშაულს ორგანიზება. კონკრეტულად რა დავალება მისცა დავით ახალაიამ ამ პიროვნებებს და როგორ უნდა ემოქმედათ, ამის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. ერთადერთი მტკიცებულება ყოფილი მსჯავრდებულების ჩვენებებია, რომელთაც თავისუფლების და გარკვეული შეღავათების სანაცვლოდ მიაცემინეს ჩვენებები.

ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის ეპიზოდთან დაკავშირებით საქმეში ჩახედული არ ვარ, რადგან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან არ მისაუბრია და მისი პოზიცია არ ვიცი. რატომღაც, მგონია, რომ ეს ბრალის გასამყარებლად და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ უარყოფითი წარმოდგენის შესაქმნელად გააკეთეს.

ეს სუსტ მტკიცებულებად მიმაჩნია. დაზარალებულის ჩვენების გარდა, სხვა მტკიცებულება არ არსებობს, – აცხადებს ადვოკატი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

მერკელი 2021 წლის შემდეგ კანცლერი აღარ იქნება

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი მზად არის, დარჩეს მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე 2021 წლამდე, შემდეგ კი უარი თქვას საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენაზე.

გერმანული მედიის ინფორმაციით, ჰესენის ფედერალურ მიწაზე ჩატარებულ არჩევნებში „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის“ წარუმატებლობის შემდეგ მერკელი მზად არის, დეკემბერში უარი თქვას პარტიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და მთელი ძალები კანცლერის პოსტზე საქმიანობაზე მიმართოს.

შეგახსენებთ, რომ ანგელა მერკელი გერმანიის კანცლერის თანამდებობას 2005 წლიდან იკავებს.

ბრაზილიის პრეზიდენტი ჟოზეფ ბოლსონარუ გახდა

ბრაზილიაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა. გაიმარჯვა მემარჯვენე კანდიდატმა ჟოზეფ ბოლსონარუმ. მან ხმების 55% დააგროვა.

ბოლსონარუ ყოფილი ოფიცერია. ის ტრადიციული ფასეულობების (ეკლესია, ოჯახი) დაცვის მომხრეა. მხარს უჭერს იარაღის თავისუფალ ფლობას, სოციალური პროგრამების დაფინანსების შემცირებას და ა.შ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსეთში ჩეკისტების თვითნებობა გააპროტესტეს

დღეს რუსეთს ვლადიმერ პუტინის ჩეკისტური გუნდი მართავს. მეთოდები, რომლებითაც ეს ხალხი სარგებლობს, თვით კანონმორჩილი რუსების გულისწყრომასაც იწვევს.

ამის ნათელი დადასტურებაა საპროტესტო აქციები, რომლებიც რუსეთის რიგ ქალაქებში გაიმართა. ყველაზე მასობრივ გამოსვლებს ადგილი მოსკოვსა და პეტერბურგში ჰქონდა.

მოსკოვში აქტივისტებმა ფსბ-ს შენობასთან სახალხო შეკრება მოაწყვეს. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, როცა მანიფესტანტებმა ქალაქის ცენტრში მსვლელობის მოწყობა ცადეს. მათ გზა ომონმა გადაუღობა.

აქცია ძალის გამოყენებით იქნა დაშლილი. დაკავებულია 60-მდე მანიფესტანტი.

დრამატულად წარიმართა მოვლენები პეტერბურგში. იმ ადგილას, სადაც მანიფესტანტები უნდა შეკრებილიყვნენ, ულტრარადიკალური რუსეთის ეროვნულ- დემოკრატიული მოძრაობის წევრები მოცვივდნენ. მათ პუტინის მადიდებელი ლოზუნგების სკანდირება დაიწყეს, აქციის მონაწილეებს კი ურიები და ამერიკელების აგენტები უწოდეს.

– პუტინს სურს, რუსეთის დიდება აღადგინოს! თქვენ მას ამაში ხელს უშლით! ამერიკელების ფულით მოსყიდული ურიები ხართ! წაეთრიეთ ისრაელში! რუსეთში არაფერი გესაქმებათ!

მანიფესტანტებსა და ულტრარადიკალებს შორის კინაღამ ხელჩართული შეტაკება გაიმართა. მანიფესტანტებიც იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. მიუხედავად ამისა, მსვლელობა მაინც გაიმართა. პოლიციამაც მანიფესტანტების დაკავება დაიწყო.

დაკავებულია 18 დემონსტრანტი.

რუსეთში საპროტესტო ტალღა სულ უფრო იზრდება. ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება. შაქარზე ფასები 50%-ით გაიზარდა. ვლადიმერ პუტინის რეიტინგიც ეცემა. გაჭიანურებული ომები, სანქციები, საერთაშორისო იზოლაცია რუსეთს უდიდეს დარტყმას აყენებს.

– თუ ამერიკელებმა რუსეთი გამალებულ შეიარაღებაში ჩაითრიეს, ეს მოსკოვს მომაკვდინებელ მახვილს ჩასცემს, – წერს ექსპერტი დმიტრი გორდონი.

პუტინი დაახლოებით იმავე ალტერნატივის წინაშე დგება, რომლის წინაშეც მიხეილ გორბაჩოვი დადგა – ან ავტორიტარული მეთოდებით ძალაუფლების შენარჩუნება და იმპერიული აგრესიული პოლიტიკის გაგრძელება, ან საერთაშორისო სარბიელზე რიგი დათმობები და მთელი აქცენტის შიდა პრობლემების დაძლევაზე გადატანა. გორდონი წერს, რომ პუტინი ყოყმანობს. საბოლოო გადაწყვეტილება მას ჯერ არ მიუღია.

ამერიკაში გლოვა გამოცხადდა

როგორც ცნობილია, შეიარაღებული მამაკაცი პიტსბურგის სინაგოგაში შეიჭრა და სროლა ატეხა. ეს მაშინ მოხდა, როცა საღამოს ლოცვა მიმდინარეობდა. დაიღუპა 11 ადამიანი. ტერორისტი შეიპყრეს. ის 46 წლის რობერტ ბაუერსი აღმოჩნდა.

პრეზიდენტმა ტრამპმა პიტსბურგის ტრაგედიის გამო ქვეყანაში გლოვა გამოაცხადა მან მომხდარი კატეგორიულად დაგმო.

– ტერორისტი მკაცრად უნდა დაისაჯოს! – თქვა პრეზიდენტმა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა პიტსბურგელ მსროლელს უწოდა ლაჩარი, რომელმაც ბოლმა სრულიად უდანაშაულო ადამიანებზე გადმოანთხია.

– მან ხალხს ლოცვის დროს ესროლა, როცა ისინი შეიარაღებულ თავდასხმას არ მოელოდნენ! ასე მხოლოდ ლაჩრები იქცევიან, – თქვა მატისმა.

პენსილვანიის შტატის ფედერალურმა პროკურორებმა რობერტ ბოუერსისთვის სიკვდილით დასჯა მოითხოვეს. შესაბამისი მიმართვა მოსამართლეებმა აშშ-ის გენერალურ პროკურორ ჯეფ სეშნს გაუგზავნეს, რომელმაც სიკვდილით დასჯის ნებართვა უნდა გასცეს.

ბოუერსს ბრალი 29 მუხლით აქვს წაყენებული.

კალეიდოსკოპი

ამერიკელს მწვანე ჩაის ექსტრაქტმა ღვიძლი დააკარგვინა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ დალასის მცხოვრებმა მამაკაცმა ჯიმ მაკკანტსმა, რომელიც მწვანე ჩაის ექსტრაქტიან ბიოდანამატს იღებდა, ღვიძლი დაკარგა.

50 წლის მამაკაცი სერიოზულ ყურადღებას საკუთარ ჯანმრთელობას: იკვებებოდა მხოლოდ ჯანსაღი პროდუქტით, რეგულარულად ვარჯიშობდა და მთელი წლის განმავლობაში მაქსიმუმ ექვს ქილა ლუდს სვამდა. მამამისი 59 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა და მაკკანტს ძალიან ეშინოდა, რომ მის ბედს გაიზიარებდა. ამ ყოველივეს გარდა, ის ორი-სამი თვის განმავლობაში ყოველდღე, როგორც თავად ეგონა, სრულიად უწყინარ ბიოდანამატს იღებდა – მწვანე ჩაის ექსტრაქტს კაფსულებში. მისი რეკლამა ამტკიცებდა, რომ ის აუმჯობესებდა გულის მუშაობას, თავიდან აცილებს კიბოს წარმოქმნას და ხელს უწყობს წონაში დაკლებას.

ერთ დღესაც მან თავი შეუძლოდ იგრძნო, სასწრაფო გამოიძახა და საავადმყოფოში ღვიძლის ციროზის შესაძლო დიაგნოზით მოხვდა. ექიმებმა ყველა შესაძლო მავნე ჩვევები გამორიცხეს, ვინაიდან ასეთი რამ მაკკანტს არ ჰქონდა, ასევე გამოირიცხა წამლის გვერდითი ეფექტიც, ვინაიდან მამაკაცი წამლებს არ იღებდა და საბოლოოდ ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემის მიზეზი ბიოდანამატი გახდა.

საავადმყოფოში გატარებული რამდენიმე დღის შემდეგ ექიმებმა განაცხადეს, რომ მას სასწრაფოდ სჭირდება ღვიძლის გადანერგვა.

– ექიმებმა მითხრეს, რომ ერთ კვირაზეც არ არის ლაპარაკი, სულ რამდენიმე დღეზეა ლაპარაკი, – განაცხადა მამაკაცმა, რომლის საბედნიეროდ, დონორი მეორე დღესვე მოიძებნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

წყვილმა შემთხვევით მოგებიანი ლატარიის ბილეთი გადააგდო

ავსტრალიელმა წყვილმა შეცდომით გადააგდო ლატარიის ბილეთი, რომელმაც მსხვილი თანხა მოიგო. მათ შემდეგ მისი მოძებნა ნაგვის კონტეინერში მოუხდათ.

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის რეგიონ ცისფერი მთების მცხოვრებლებმა ელექტრონული ფოსტით მიიღეს შეტყობინება ლატარიაში მოგების შესახებ. მოგებამ 800 ათასი ავსტრალიური დოლარი შეადგინა. მამაკაცმა თავდაპირველად საკუთარ თვალებს არ დაუჯერა და ორჯერ გადაამოწმა მომგებიანი ნომრები.

მან სიხარული მეუღლეს გაუზიარა, მაგრამ მას გაახსენდა, რომ რამდენიმე დღის წინ ბილეთი შემთხვევით ნაგავში გადააგდო. წყვილი მაშინვე ნაგვის კონტეინერისკენ გაიქცა, რომელიც იმ დღეს უნდა გაეტანათ და მათ ეშინოდათ, რომ ვერ მიასწრებდნენ. გარკვეული დროის შემდეგ მათ ბილეთი იპოვეს.

– ის დილა მოვლენებით სავსე გამოდგა, თავადაც მიხვდებით, რომ ამდენი მღელვარებისგაან ჭამაც კი გადამავიწყდა, – განაცხადა მამაკაცმა. მისი თქმით, მოგებულ თანხას იპოთეკის დასაფარად გამოიყენებს.

გრიზლი კანადელს თავს დაესხა

კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ ბელა-კულაში დათვი თავს დაესხა მამაკაცს, რომელიც საკუთარ ეზოში იყო გამოსული. მან ცხოველის დაჭრა მოახერხა და შემდეგ სახლში შეასწრო.

ლოურენს მიხალჩუკი ამტკიცებს, რომ მოგზაურობიდან დაბრუნებულმა შენიშნა გრიზლი, რომელიც მისი სახლის გარშემო ტრიალებდა. დედა დათვთან ერთად ეზოში მისი სამი ბელიც იმყოფებოდა. მათ შესაშინებლად და გასაყრელად მამაკაცმა თოფი ჰაერში გაისროლა.

ცხოველები გაიქცნენ, მან კი კიდევ ერთხელ გაისროლა.

– ამის შემდეგ დედა დათვს დავუღრიალე, და ამის შემდეგ მან თავი დახარა და ჩემსკენ გამოქანდა, – იხსენებს მიხალჩუკი, – ნათელი იყო, რომ ეს მეტად სერიოზული შემოტევა იყო.

კანადელი მიხვდა, რომ სახლის კარამდე მირბენას ვერ მიასწრებდა. მან გადაწყვიტა დათვის მიახლოვებას დალოდებოდა და შემდეგ მისთვის ფეხებში ესროლა. ეს ცხოველს შეაყოვნებდა, ხოლო თავად მას დამალვის საშუალებას მისცემდა. გასროლის შემდეგ დათვი დაეცა, მაგრამ სწრაფადვე წამოხტა და ისევ მამაკაცისკენ გაქანდა.

ცხოველი მამაკაცს მიეჭრა და კბილებით მის შლოპანცს ჩააფრინდა. მან ჯერ ვერანდას შეაფარა თავი, შემდეგ ელექტრო ღობეს გადაახტა, სახლამდე მიღწევის შემდეგ კი შიგნით შევიდა და ლითონის კარი ჩაკეტა. იქ მას მეუღლე და შვილი დახვდნენ, რომლებიც ამ ყოველივეს ფანჯრიდან ადევნებდნენ თვალს.

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

შავდათუაშვილი გრანდ სლემის გამარჯვებულია

არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ დაბიში მიმდინარე გრანდ სლემზე ქართველი ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ) ჩემპიონი გახდა. ეს მესამე ქართული ოქროა აბუ დაბიში. შეგახსენებთ, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ამირან პაპინაშვილი (60 კგ.) და ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ.) ავიდნენ.

შავდათუაშვილმა ფინალამდე ყველა მეტოქეს საქმე ვადაზე ადრე მოუთავა. პირველ წრეში იაპონელი ტაკეში დოი 32 წამში დააიპონა, ჩინელ რიგანგ ქსუს ძლევას 2 წუთამდე დრო დააჭირვა, უკრაინელ არტიომ ხომულას 1:43 წუთში ჯერ ვაზარი აართვა, შემდეგ კი დააიპონა, ნახევარფინალში შვედ ტომას მაციასთან თავიდან ვაზარები გაცვალა, 3:12 წუთის გასვლისას კი ისიც იპონზე დააგდო.

2012 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი ფინალში კოსოვოელ აკილ გიაკოვას გადაეყარა და ბრძოლის შუაწელს აღებული ვაზარის წყალობით იმარჯვა.

იგივე 73 კგ-მდე წონით კატეგორიაში ძალები ფრიდონ გიგანმაც სცადა, თუმცა, პირველივე ორთაბრძოლა იპონით წააგო ჩეხ იაკუბ იეჩმინეკთან. 81 კგ-ში საქართველოს ღირსებას თამაზ კირაკოზაშვილი იცავდა, რომელმაც გერმანელი ჰანეს კონრადი დააიპონა, შემდეგ კი ირანელ საეიდ მოლაეისთან დამატებით დროში მე-3 შიდო მიიღო.

ბელგიელებმა ჩაკვეტაძე აზარს შეადარეს

ერთ-ერთმა ბელგიურმა გამოცემამ გენტის 19 წლის ქართველ ნახევარმცველ გიორგი ჩაკვეტაძეს მცირე სტატია მიუძღვნა და ედენ აზარს შეადარა.

– აშკარაა, რომ გუნდში ახალი მწვრთნელის იეს თორუფის მოსვლა გიორგი ჩაკვეტაძის თამაშს დაეტყო. ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონიდან გამოჩნდა, რომ ქართველ ფეხბურთელში რაღაც განსაკუთრებული იყო. ის ფეხბურთს გრძნობს. ბურთთან შეხება და მოედნის ხედვა, მას სხვებზე გაცილებით უკეთესი აქვს.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ 2018-19 წლების სეზონი გენტში ჩაკვეტაძის სეზონი იქნებოდა. მაგრამ, როგორც ყველას, ივ ვანდერჰაეგეს გუნდში, პატარა ქართველსაც უჭირდა, მას გოლი არ ჰქონდა გატანილი და მხოლოდ 1 საგოლე პასი ჰქონდა გაკეთებული სეზონში.

თორუფის მოსვლის შემდეგ ჩაკვეტაძეს ახალი სუნთქვა გაეხსნა – ოსტენდესთან გოლის შემდეგ, შარლეუასთან „იცეკვა“. გიორგი დაცვასაც ეხმარებოდა, ეძებდა და პოულობდა სივრცეებს, გაიტანა 2 გადამწყვეტი გოლი და მოედანზე ერთ-ერთი „ბოსი“ იყო.

სათამაშო სტილით ქართველი ედენ აზარს გვაგონებს. ნაკლებად ურტყამს, თუმცა ბურთის განაწილებაში ძალიან ჰგავს, როგორც ედენი ბელგიის ნაკრებში თამაშობს ხოლმე, – წერია სტატიაში.

ბითაძეს ვერ აჩერებენ

ზაზა ფაჩულიას დეტროიტ პისტონსი მიმდინარე სეზონში პირველად დამარცხდა. მიჩიგანელებმა შინ ბოსტონ სელტიკსთან 89:109 წააგეს. ზაზა პარკეტზე სათადარიგოთა სკამიდან გავიდა და 12 წუთი ითამაშა. ამ დროში ქართველმა ცენტრმა გუნდს 2 ქულა და 5 მოხსნა შესძინა. ზაზამ ორიდან 2 საჯარიმო სროლა გამოიყენა.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, ბოსტონმა მატჩის სტარტზევე მოიპოვა უპირატესობა და მთელი შეხვედრის განმავლობაში ანგარიშით წინ იყო. დეტროიტის წაგება შეიძლება ბლეიკ გრიფინის ცუდ თამაშსაც მივაწეროთ. გრიფინმა გუნდს მხოლოდ 7 ქულა შესძინა. მატჩში ყველაზე მეტი 19 ქულა ბრაუნის ანგარიშზეა. დეტროიტში 18 ქულით დრამონდი გამოირჩა.

დეტროიტი 4 მოგებით და ერთი მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილზე იმყოფება. მომდევნო შეხვედრაში ისევ ბოსტონს დაუპირისპირდება, ოღონდ ამჯერად სტუმრად.

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ სტუმრად ესტუდიანტესი დაამარცხა. ევროლიგაზე წარუმატებლად მოასპარეზე ბასკონიელებმა შური ესპანეთის ლიგის ბინადარზე იძია, რომელიც 100:67 დაამარცხა.

ჩვენებური სასტარტო ხუთეულში იყო და 23 წუთში 18 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. თორნიკემ 11-დან 7 ორქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა კალათბურთელმა მეტ ჯენინგმა მოედანზე 18 წუთი გაატარა და 6 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. მეტმა სამივე ორქულიანი ჩააგდო, 5 სამქულიანი კი ააცილა.

ბასკონია სატურნირო ცხრილში მხოლოდ რეალსა და ბარსელონას ჩამორჩება, მომდევნო მატჩს კი შინ ვალენსიასთან გამართავს.

გიორგი შერმადინის უნიკახა ესპანეთის ჩემპიონატში წარმატებულ სვლას განაგრძობს. მე-5 ტურში მალაგელებმა სარაგოსას უმასპინძლეს და 98:82 სძლიეს. ეს უნიკახას მე-5 გამარჯვება გახლდათ.

შერმადინი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 21 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა (4 შეტევაში), 1 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 9-დან 5 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

მალაგელებს 6 ტურში 5 მოგება მოუგროვდათ და სატურნირო ცხრილში ბასკონიასთან ერთად 3-4 ადგილებს იყოფენ. მომდევნო მატჩს კი სტუმრად, ბურგოსთან გამართავენ.

დუდა სანაძისა და ბექა ბურჯანაძის გიპუზკოა ბასკეტმა ჩემპიონატში პირველი გამარჯვება იზეიმა. ქართველ ლეგიონერთა გუნდს ზედიზედ 5 მატჩი ჰქონდა წაგებული, ამჯერად კი, შინაურ კედლებში ევროლიგის მონაწილე გრან კანარიას უმასპინძლა და 74:63 სძლია. მატჩში მონაწილეობა ორივე ქართველმა მიიღო. 3-მატჩიანი პაუზის შემდეგ ბურჯანაძე მოედანზე ისევ გამოჩნდა.

სანაძემ მოედანზე 15 წუთი გაატარა და აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა სპურტი მე-3 მეოთხედის მიწურულს მოედანზე დუდას გამოჩენას მოჰყვა. ქართველმა კალათბურთელმა 5 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. სანაძემ 2-დან 1 სამქულიანი და ორქულიანი ჩააგდო. დუდას მოედანზე ყოფნის პერიოდში, გიპუზკოამ სტუმრებზე 15 ქულით მეტი ჩააგდო და ეს, ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

ბურჯანაძემ 4 წუთი ითამაშა და 2 საჯარიმო აიცილა, აქტივში კი მხოლოდ შეტევაში მოხსნა ჰქონდა.

გიპუზკოა ერთადერთი მოგებით კვლავაც ბოლო ადგილზე რჩება, მომდევნო შეხვედრას კი სტუმრად, ობრადოიროსთან გამართავს.

წარმატებას მიაღწია ტენერიფემაც, რომლის ღირსებასაც საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი თად მაკფადენი იცავს.

ტენერიფელებმა ანდორას სტუმრად 96:81 სძლიეს, მაკფადენი კი სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და 21 წუთში 12 ქულა და 2 პასი მიითვალა. თადმა 5-დან 3 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

ტენერიფეს 4 მოგება და 2 მარცხი აქვს და მე-5 პოზიციაზეა, შემდეგი მატჩი კი შინ სარაგოსასთან ელის.

გოგა ბითაძე და მისი გუნდი მეგა ბიმაქსი ადრიატიკის ლიგაში შეუდარებლები არიან. ევროპის ერთ-ერთ მოწინავე ჩემპიონატში 19 წლის ქართველს კი შემჩერებელი არ ჰყავს – ბითაძე მიმდინარე სეზონის თითქმის ყველა შეხვედრაში საუკეთესოა. ასე იყო მორიგ ტურშიც, რომელშიც მეგა ბიმაქსმა მონტენეგროში მორნარი 84:80 დაამარცხა, ქართველი ცენტრი კი, ორმაგი დუბლით, მვპ-ის ტიტულს დაეპატრონა.

ბითაძე ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 30 წუთში 26 ქულა, 10 მოხსნა და 3 დაფარება მიითვალა. გოგამ 7-დან 5 ორქულიანი, 4-დან 3 სამქულიანი და 7-ვე საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, ქართველი ცენტრის სარგებლიანობის კოეფიციენტი 35-ს გაუტოლდა და გასაკვირი არ ყოფილა, რომ ეს შეხვედრის საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

5-დან 5 მოგებით მეგა ბიმაქსი ადრიატიკის ლიგას ანალოგიური შედეგის მქონე ცრვენა ზვეზდასთან ერთად ლიდერობს. მორიგ ტურში ბითაძის გუნდი ბელგრადის პარტიზანს შეხვდება.

ტორპედომ მოიგო და სამეულისკენ გაიწია

ლოკომოტივი-ტორპედო 0:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2
0:1 ქიმაძე (31)

ლოკომოტივი: თევდორაძე, გაბაძე, უბილავა, ქურდაძე, ჭანტურია, შონია, დავითაშვილი, სამურკასოვი, არდაზიშვილი (რ.ჯიქია 74), ო.კობახიძე (კომახიძე 24), დ.ჯიქია (გავაშელიშვილი 58)

ტორპედო: კვასხვაძე, ხურცილავა, ცინცაძე, დაფე, კაპანაძე (კუტალია 69), გეგეჭკორი, დოლიძე (ლაჩნი 75), ქიმაძე (კუხიანიძე 83), მარინი, მ.კობახიძე, გიგაური

გაძევება: კომახიძე (88)

თბილისის ლოკომოტივმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ქუთაისის ტორპედოს უმასპინძლა და ანგარიშით 0:1 დამარცხდა.

ლოკომოტივი ერთადერთი გუნდია, რომელიც სეზონის ბოლომდე მშვიდად იქნება, რადგან არც გავარდნის საფრთხე ემუქრება და ვერც ევროსაგურისთვის იბრძოლებს. ტორპედო კი ჩემპიონატში სამეულისკენ მიიწევს, ხოლო თასზე ნახევარფინალშია გასული. ასე რომ, რიონისპირული გუნდი 2 ფრონტზე იბრძვის.

მატჩის ერთადერთი გოლი 31-ე წუთზე არფანგ დაფეს პასით გიორგი ქიმაძემ გაიტანა და გუნდს 3 ქულა მოუტანა.

ამ გამარჯვებით ქუთაისელები 52 ქულით მეოთხე ადგილამდე დაწინაურდნენ და საჩხერის ჩიხურას ქულითღა ჩამორჩებიან, თუმცა, მათზე თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

საატჩნიო ცხრილი:

1.საბურთალო	30	21	4	5	55-25	67
2.დინამო	29	19	5	5	61-25	62
3.ჩიხურა	30	16	5	9	46-28	53
4.ტორპედო	29	15	7	7	46-23	52
5.დილა	30	13	11	6	49-36	50
6.ლოკომოტივი	30	9	6	15	34-48	33
7.რუსთავი	30	6	12	12	28-38	30
8.სიონი	30	6	7	17	29-52	25
9.სამტრედია	30	3	9	18	25-61	18
10.კოლხეთი	30	4	8	18	25-62	14

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

შედეგები

28 ოქტომბერი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბარნლი-ჩელსი 0:4
კრ.პალასი-არსენალი 2:2
მანჩესტერი-ევერტონი 2:1

საატჩნიო ცხრილი:

1.ლივერპული	10	8	2	0	20-4	26
2.ჩელსი	10	7	3	0	24-7	24
3.სიტი	9	7	2	0	26-3	23
4.არსენალი	10	7	1	2	24-13	22
5.ტოტენჰემი	9	7	0	2	16-7	21
6.ბორნმუთი	10	6	2	2	19-12	20
7.უოტფორდი	10	6	1	3	16-12	19
8.მანჩესტერი	10	5	2	3	17-17	17
9.ევერტონი	10	4	3	3	16-14	15
10.ვულვზი	10	4	3	3	9-9	15
11.ბრაიტონი	10	4	2	4	11-13	14
12.ლესტერი	10	4	1	5	16-16	13
13.ვესტ ჰემი	10	2	2	6	9-15	8
14.კრ.პალასი	10	2	2	6	7-13	8
15.ბარნლი	10	2	2	6	10-21	8
16.საუთჰემპტონი	10	1	4	5	6-14	7
17.კარდიფი	10	1	2	7	9-23	5
18.ფულემი	10	1	2	7	11-28	5
19.ნიუკასლი	10	0	3	7	6-14	3
20.ჰადერსფილდი	10	0	3	7	4-21	3

ესპანეთი. პრემიერა დივიზიონი

ხეტაფე-ბეტისი 2:0
ბარსელონა-რეალი 5:1
ალავესი-ვილიარეალი 2:1
სევილია-უესკა 2:1

საატჩნიო ცხრილი:

1.ბარსელონა	10	6	3	1	28:12	21
2.ალავესი	10	6	2	2	14:9	20
3.სევილია	10	6	1	3	22:13	19
4.ატლეტიკო	10	5	4	1	12:5	19
5.ესპანიოლი	10	5	3	2	14:8	18
6.ვალიადოლიდი	10	4	4	2	9:7	16
7.ლევანტე	10	5	1	4	16:15	16
8.ხეტაფე	10	4	3	3	10:8	15
9.რეალი	10	4	2	4	14:14	14
10.სელტა	10	3	4	3	17:13	13
11.ხირონა	10	3	4	3	12:14	13
12.სოსიედადი	10	3	3	4	12:13	12
13.ბეტისი	10	3	3	4	5:9	12
14.ვალენსია	10	1	8	1	7:8	11
15.ეიბარი	10	3	2	5	10:17	11
16.ბილბაო	10	1	7	2	11:15	10
17.ვილიარეალი	10	2	3	5	8:10	9
18.ლეგანესი	10	2	2	6	8:15	8
19.რაიო	10	1	3	6	10:20	6
20.უესკა	10	1	2	7	8:22	5

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიმნასტიკი-ოვიედო 2:1
მაჰადაონდა-ოსასუნა 1:1
ესტრემადურა-ალბასეტე 1:2
ელჩე-სარაგოსა 2:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ნიურნბერგი-აინტრახტი 1:1
ლაიფციგი-შალკე 0:0
ვერდერი-ლევერკუზენი 2:6

საატჩნიო ცხრილი:

1.დორტმუნდი	9	6	3	0	29:10	21
2.ბაიერნი	9	6	1	2	17:10	19
3.გლადბახი	9	5	2	2	20:12	17
4.ვერდერი	9	5	2	2	17:14	17
5.ლაიფციგი	9	4	4	1	16:9	16
6.ჰერტა	9	4	4	1	15:10	16
7.აინტრახტი	9	4	2	3	20:13	14
8.ჰოფენჰაიმი	9	4	1	4	18:13	13
9.აუგსბურგი	9	3	3	3	16:14	12
10.ვოლფსბურგი	9	3	3	3	14:14	12
11.ფრაიბურგი	9	3	3	3	13:15	12
12.ლევერკუზენი	9	3	2	4	15:17	11
13.მაინცი	9	2	3	4	5:10	9
14.ნიურნბერგი	9	2	3	4	9:20	9
15.შალკე	9	2	1	6	5:11	7
16.ჰანოვერი	9	1	3	5	11:18	6
17.ფორტუნა	9	1	2	6	6:21	5
18.შტუტგარტი	9	1	2	6	6:21	5

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ინგოლშტადი-დუისბურგი 1:1
ზ.პაული-კილი 0:1
უნიონი-დინამო 0:0

იტალია. სერია ა

სასუოლო-ბოლონია 2:2
ჯენოა-უდინეზე 2:2
კალიარი-კიევო 2:1
სპალი-ფროზინონე 0:3
მილანი-სამპდორია 3:2
ნაპოლი-რომა 1:1

საატჩნიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	10	9	1	0	21:7	28
2.ნაპოლი	10	7	1	2	19:11	22
3.ინტერი	9	6	1	2	13:6	19
4.ლაციო	9	6	0	3	13:9	18
5.ფიორენტინა	10	4	3	3	16:8	15
6.სამპდორია	10	4	3	3	14:7	15
7.მილანი	9	4	3	2	18:13	15
8.რომა	10	4	3	3	17:13	15
9.სასუოლო	10	4	3	3	17:16	15
10.ტორინო	10	3	5	2	12:12	14
11.ჯენოა	9	4	2	3	15:17	14
12.კალიარი	10	3	4	3	9:11	13
13.პარმა	10	4	1	5	10:14	13
14.ატალანტა	10	3	3	4	17:12	12
15.სპალი	10	4	0	6	8:13	12
16.უდინეზე	10	2	3	5	10:15	9
17.ბოლონია	10	2	3	5	8:14	9
18.ემპოლი	10	1	3	6	9:15	6
19.ფროზინონე	10	1	2	7	9:24	5
20.კიევო	10	0	2	8	8:26	-1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

კროტონე-სალერნიტანა 1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

რენი-რეიმსი 0:2
ბორდო-ნიცა 0:1
მარსელი-პსჟ 0:2

საატჩნიო ცხრილი:

1.პსჟ	11	11	0	0	39-6	33
2.ლილი	11	8	1	2	20-8	25
3.მონპელიე	11	6	4	1	17-7	22
4.ლიონი	11	6	2	3	18-13	20
5.მარსელი	11	6	1	4	22-18	19
6.სტ.ეტიენი	11	4	5	2	13-14	17
7.სტრასბური	11	4	4	3	19-15	16
8.ბორდო	11	4	2	5	13-14	14
9.რეიმსი	11	3	5	3	7-10	14
10.ნიცა	11	4	2	5	8-14	14
11.ტულუზა	11	3	4	4	10-19	13
12.ანჟე	11	3	3	5	13-15	12
13.ნანტი	11	3	3	5	14-17	12
14.რენი	11	3	3	5	13-17	12
15.კაენი	11	2	5	4	10-14	11
16.ნიმი	11	2	5	4	14-19	11
17.დიჟონი	11	3	2	6	12-17	11
18.ამიენი	11	3	1	7	12-20	10
19.მონაკო	11	1	4	6	12-17	7
20.გენგამი	11	1	4	6	7-19	7

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ვიტესი-სიტარდი 2:1
აიაქსი-ფეინოორდი 3:0
ტილბურგი-უტრეხტი 0:1
ალკმაარი-ჰერენვენი 2:3

ჰორტუგალია. პირველი ლიგა

მორეირენშე-მარიტიმუ 1:0
ტონდელა-სეტუბალი 1:2
პორტუ-ფეიერენშე 2:0
სპორტინგი-ბოავიშტა 3:0

ხერვეთი. პრემიერლიგა

ენისეი-ლოკომოტივი 0:3
ახმატი-დინამო 0:0
ცსკა-კრასნოდარი 1:2

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-თუნი 2:1
ქსამაქსი-ლუცერნი 1:2
სტ.გალენი-ციურიხი 3:2

მოტლანდია. ლიგის თასი

ჰართსი-სელტიკი 0:3
აბერდინი-რეინჯერსი 1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-სტ.პოლენი 1:0
რაპიდი-ადმირა 2:0
ლინცერი-ზალცბურგი 3:3

ბელგია. 1 დივიზიონი

სტანდარდი-გენკი 1:1
ეუპენი-ანდერლეხტი 2:1
ბევერენი-ანტვერპენი 0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანიონიოსი-ატრომიტოსი 2:2
პანეთოლიკოსი-ასტერასი 1:1
აეკი-არისი 4:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-სივასი 2:0
მალათია-გალათასარაი 2:0
ფენერბახჩე-ანკარაგიუჯიუ 1:3

ჩეხეთი. 1 ლიგა

პლზენი-სლოვაცკო 2:1
იაბლონეცი-ლიბერეცი 0:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

კორონა-კრაკოვია 0:1
გურნიკი-ზაგლებიე 2:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ჩერნომორეცი-კარპატი 0:5
დინამო-ლვოვი 0:1
ვორსკლა-ოლიმპიკი 2:1

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-ვაილე 1:0
რანდერსი-ესბიერგი 0:2
კოპენჰაგენი-ორხუსი 4:2
ოლბორგი-ვენსიუსელი 0:1

შვედეთი. ალსვენსკა

ჰამარბი-კალმარი 0:0
იორებრო-დიურგარდენი 1:1
ნორჩიოპინგი-ესტერსტუნდი 4:2
სირიუსი-ბრომაპოიკარნა 4:2

ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო-გლიმტი-სტაბეკი 1:1
კრისტიანსუნდი-სანდერფიორდი . 3:2
რანჰეიმი-ლილესტრიომი 3:2
სარპსბორგი-ჰაუგესუნდი 2:1
ოდ გრელანდი-ტრომსო 1:0
ბრანი-რუსენბორგი 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველოს პირველობამდე წამი დააკლდა

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო თასის ევროპული ზონის ტურნირზე. ბოლო დღეს ჩვენებმა 38:18 დაამარცხეს ირლანდია, კოსოვომ კი ბოლო წამზე გაუთანაბრა ანგარიში მოლდოვას – 27:27. კოსოვომ პირველობა სწორედ ამ გოლით დაიბევა და ახლა ინტერკონტინენტალურ ტურნირზე ითამაშებს, რომლის გამარჯვებულიც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურს მიიღებს.

ბოლო ტურის წინ პირველობის შანსი 3 გუნდს ჰქონდა. კოსოვოს პირველობისთვის ფრეც ჰყოფნიდა, მოლდოვას 3 ბურთით მოგება სჭირდებოდა, მაგრამ მოლდოველთა 1 ან 2 ბურთით გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე საქართველოს ნაკრები გადიოდა.

ბოლო წუთზე მოლდოვა 27:26 იგებდა და უტევდა. დენის მარტევი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ გაიტანა. რჩებოდა 9 წამი, მასპინძელთა მწვრთნელმა ბრანუშიმ აიღო ტაიმაუტი, რომლის შემდეგაც კოსოვოელთა ლიდერმა, ტაჰირუკაიმ მარცხენა კუთხიდან გაიტანა და სირენაც გაისმა.

კოსოვოს მეორედ გაუმართლა – საქართველოსთან მოგებული მატჩის (22:21) ბოლო 14 წამში მათმა მეკარემ ჯერ შვიდმეტრიანი მოიგერია, შემდეგ კი – პირისპირ გასვლა.

შოტლანდიელს ფრჩხილების კვნეტა სისხლის მოწამვლად დაუჯდა

ბრიტანეთის ესექსის (შოტლანდია) საგრაფოს ქალაქ უესტკლიფონ-სის მცხოვრები საავადმყოფოში სისხლის მოწამვლის მძიმე ფორმით მოხვდა, რაც მისმა მავნე ჩვევამ, ფრჩხილების კვნეტამ, გამოიწვია.

მიმდინარე წლის იანვარში რიკი კენედიმ ისე ძლიერად მოიკვნიტა ფრჩხილები ხელის ცერა თითზე, რომ მის ქვეშ წყლული გაუჩნდა. 57 წლის მამაკაცმა ექიმს მიმართა, რომელმაც მას ანტიბიოტიკების მიღება ურჩია. თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ტკივილი მთელ სხეულს მოედო და ისეთი ძლიერი იყო, რომ მოძრაობას ვეღარ ახერხებდა. მეუღლემ სასწრაფო გამოიძახა, ის ფიქრობდა, რომ ქმარს გულის შეტევა ჰქონდა.

– ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ამ ყოველივეს მიზეზი თითზე გაჩენილი ჭრილობა იქნებოდა. ისეთ ტკივილს განვიცდიდი, რომ მეგონა, მოვკვდებოდი, – განაცხადა რიკი კენედიმ.

ექიმებმა რიკის სისხლის მოწამვლა დაუდგინეს და განუცხადეს, რომ მისი გადარჩენის შანსი 50 პროცენტს შეადგენდა. მამაკაცი საავადმყოფოდან მაისში გამოწერეს, კიდევ ორი თვის განმავლობაში მას ანტიბიოტიკების მიღება უწევდა. ამჟამად მამაკაცს მრავალი გართულება აწუხებს, მათ შორის ინფექციური ართრიტი და ასთმა.

რეალი მწვრთნელზე ფიქრობს და კონტეზე აკეთებს აქცენტს

ხულიენ ლოპეტეგისთვის კვირას გამართული ელ კლასიკო პირველი და უკანასკნელი იყო. ამ სტრიქონების წაკითხვისას ლოპეტეგი მადრიდის რეალის მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება.

რეალმა კვირას დიდი სირცხვილი ჭამა და მოსისხლე მტერ ბარსელონასთან ნოუ კამპზე 1:5 განადგურდა. ისედაც წყალშემდგარ ლოპეტეგის კარისკენ რომ მიუთითებენ, ყველა ესპანური გამოცემა წერს. და არამარტო ესპანური. გავრცელებული ინფორმაციით, ლოპეტეგი გასახდელშივე დაემშვიდობა ფეხბურთელებს.

როგორც ჩანს, ბარსელონაში გამანადგურებელი მარცხი იყო ბოლო წვეთი პერესის მოთმინების ფიალაში. მადრიდული გრანდი, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში 10 ტურის შემდეგ მე-9 ადგილზეა და ლიდერ ბარსელონას უკვე 7 ქულით ჩამორჩება.

ლოპეტეგის შემცვლელად კი იტალიელი ანტონიო კონტე მოიაზრება. ლოპეტეგის გათავისუფლება და კონტეს დანიშვნის ამბავზე გერმანელი ჟურნალისტებიც წერენ – პერესმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება იტალიელის სასარგებლოდ, რომელიც ზაფხულის შემდეგ უმუშევარია. პერესს მიაჩნია, რომ კონტე რეალისთვის იდეალური არჩევანია.

49 წლის კონტე, რომელიც 2018 წლის ივლისამდე ლონდონის ჩელსის მწვრთნელი იყო, მადრიდში, სავარაუდოდ, უკვე ჩაფრინდა, ხოლო კონტრაქტს როდის გააფორმებს, მალე შევიტყობთ. თუკი რეალის ბოსები იტალიელთან ყველაფერზე ჯერ ვერ შეთანხმდებიან, დიდი შანსია, რომ „სამეფო კლუბი“ დროებით ბ გუნდის მწვრთნელმა, რეალის ყოფილმა ფეხბურთელმა, სანტიაგო სოლარიმ ჩაიბაროს და ოთხშაბათს თასის მატჩზე გაიყვანოს.

ესპანელები წერენ, რომ იტალიელმა პერესს და კლუბის სხვა შეფებს რამდენიმე მოთხოვნა წაუყენა. როგორც ირკვევა, კონტეს რეალიდან მცველი მარსელოს, თავდამსხმელი ქარიმ ბენზემას და მეკარე კეილორ ნავასის გაშვება სურს. სამაგიეროდ, იტალიელი სპეციალისტი მილანის ინტერის არგენტინელ გოლეადორ მაურო იკარდისა და მიუნხენის ბაიერნის მარცხენა მცველ დავიდ ალაბას ითხოვს. მისთვის სწორედ ამ 2 ფეხბურთელის შეძენაა პრიორიტეტული.

ესპანური მედია რამდენიმე დღის წინ წერდა, რომ კიდევ ერთი სერიოზული კანდიდატი ჟოზე მოურინიოა, რომელმაც რეალის ბოსებს ასევე მარსელოს, ბენზემას და ნავასის გაყიდვა მოსთხოვა. პორტუგალიელი ჯერ კიდევ მანჩესტერ იუნაიტედის დამრიგებელია და, შესაბამისად, რეალში კონტეს დანიშვნა უფრო რეალურია, რადგან იტალიელი უმუშევარია.

ასი წლის მრბოლელი სახურავზე სამი დღით გაიჭედა

ბრიტანეთის დევონის საგრაფოს ქალაქ ბიგბერი-ონ-სიში ხანდაზმულმა მამაკაცმა სამი დღე საკუთარი სახლის სახურავზე გაატარა.

102 წლის რონ ისტონის გაუჩინარება შენიშნა ქალმა, რომელსაც მისთვის რეგულარულად მიჰქონდა რძე და გაზეთები. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ყოფილ მრბოლელს, რომელიც „რონი – ასი მილი საათში“ მეტსახელითაა ცნობილი, ორი ბოთლი რძისთვის ხელი არ უხლია, რაც ადრე არასოდეს მომხდარა.

მას შემდეგ, რაც ქალს არც კარზე დაკაკუნებასა და არც სატელეფონო ზარებზე არავინ უპასუხა, ქალმა მეზობლად მდებარე მაღაზიის მფლობელს მიმართა. მან მოხუცის სახლში მუშა გაგზავნა, რომელმაც ას წელს გადაცილებული მამაკაცი სახურავზე აღმოაჩინა. სახლის პატრონი სახურავზე, სავარაუდოდ, მიდგმული კიბით ავიდა ტელევიზორის ანტენის გასასწორებლად და შემდეგ უკანვე ჩამოსვლა ვეღარ შეძლო.

ხანდაზმული მამაკაცი საავადმყოფოში შვეულმფრენით გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

ლესტერის მეპატრონე ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპა

საფეხბურთო კლუბმა ლესტერმა კლუბის მფლობელის, ვიშაი შრივადანაპრაბჰის, ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად დაღუპვა დაადასტურა.

28 ოქტომბერს ვესტ ჰემთან მატჩის შემდეგ ვიშაი შრივადანაპრაბჰის 8-ადგილიანი ვერტმფრენი 60 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და გარკვეული დრო გარდაცვალების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ ვრცელდებოდა.

როგორც გაირკვა, ტაილანდელი მილიარდერის გარდა, კიდევ 4 ადამიანი დაიღუპა: მისი კომპანიის თანამშრომლები ნურსარა სუკნამაი, კავეპორნ პუნპარე და პილოტები ერიკ შვაფერი და იზაბელა როზა ლეჰოვიცი.

არ დადასტურდა გავრცელებული ინფორმაცია, რომ ვერტმფრენში შრივადანაპრაბჰის ქალიშვილი იმყოფებოდა.

დღეს ჩასატარებელი ინგლისის ლიგის მატჩი ლესტერსა და საუთჰემპტონს შორის გადაიდო და უცნობია, როდის გაიმართება.

მოამზადა მანუელ ყორეოლიანმა

ექიმებმა მძღოლი ლინჩის წესით დასაჯეს

მექსიკელმა მომლოცველებმა ლინჩის წესით გაასამართლეს მძღოლი, რომელმაც სიჩქარეს გადააჭარბა და მომლოცველთა ბრბოში მანქანით შეიჭრა.

ამ შეჯახების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, კიდევ 32 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 14 ბავშვი. ავარიის შემდეგ მომლოცველებმა მძღოლი მანქანიდან გადმოათრიეს, სასტიკად ცემეს, ხოლო მანქანას ცეცხლი წაუკიდეს. მძღოლი მიღებული ტრავმებისგან ადგილზევე გარდაიცვალა.

ტრაგედია ღამით ჩალკოს მუნიციპალიტეტში მოხდა. 400 მომლოცველი ადგილობრივი ეკლესიისკენ მიემართებოდა, რათა წმინდა მფარველის დღე ეზეიმათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 ოქტომბრისათვის

ვერძი – იზრდება სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი. ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად. **კურო** – კოსმოსიდან დიდ ენერგიას იღებთ. დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და მიმტევებლობა. ეცადეთ, საყვარელი ადამიანების გარემოცვაში მეტი დრო გაატაროთ. **ბყუპები** – დღეს უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავეებს. ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან უთანხმოება გაქვთ. სიტუაციის გამოსწორება თქვენს თავშეკავებულობასა და შორსმჭვრეტელობაზეა დამოკიდებული. **ლომი** – პლანეტების კეთილგანწყობა შემოქმედებითი ტალანტის გამოვლენაში დაგეხმარებათ. ერიდეთ მატყუარა, ფლიდ ადამიანებთან კონტაქტს. **ქალწული** – ნებისმიერ შემთხვევაში სულიერი წონასწორობა შეინარჩუნეთ. ემოციების აყოლა დაგაზარალებთ. მამაკაცებს დაბრკოლებები შეგხვდებათ. **სასწორი** – დაგეგმილი შეხვედრების გადადება მოგიწევთ. შესაფერისი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, ბუნების წიაღში დასასვენებლად. **ღრიანკალი** – ცოტა ხნით განმარტოვდით, აღიდგინეთ ენერგია. სასიკეთოდ წაგადგებათ ბავშვებთან ურთიერთობა. **მშვილდოსანი** – კომერციული საქმიანობა დღეს არასასურველია. ფინანსებს გაუფრთხილდით და ნუ გარისკავთ. **თხის რქა** – კოლეგები თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილნი არიან. იმედი გიცრუვდებათ. **მერწყული** – რთული დღეა. მაცდურ წინადადებას მიიღებთ, მაგრამ არ დასთანხმდეთ. ნუ აჩქარდებით. **თევზები** – დაძაბული ხართ. გადაღლილობას მოგიხსნით ფიტნესი, ცურვა. კარგი იქნება, თუ დასაძინებლად ადრე დაწვებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში; 2. კვების გარკვეული რეჟიმი; 3. მსუბუქი არშიყობა, ტრფიალი; 4. შავი ფერის მელას ძველი ქართული სახელწოდება; 6. ქორშევარდენთა გამწვრთნელი; 9. ისტორიული ცხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 15. წყალქვეშა ნავის მეორე სახელწოდება; 16. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 17. ძალიან ბნელი ღამე; 19. სპეციალური დანიშნულების მატარებელი; 21. ეკიპაჟის სადგომი გემზე; 22. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში.

თარაზულად: 5. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 7. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 12. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 13. პურეული მცენარე; 14. საეკლესიო წესით ქორწინება; 18. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული კულინარიული ნაწარმი; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 23. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 24. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 25. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ცენტრი; 26. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 27. სწრაფმავალი მოტორიანი სპორტული ნავი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. მალპოსტი; 7. ორდალია; 8. არიელი; 10. არაბიკა; 12. ლამპა; 13. აკინი; 14. კალვადოსი; 18. ატრია; 20. საპონი; 23. მარილი; 24. ლომი; 25. მერანი; 26. კოდი; 27. გრაფიკი.

შვეულად: 1. მარინა; 2. კიტრი; 3. პრაიდი; 4. პიროლი; 6. რომანსი; 9. ბრელი; 11. ნიტრონი; 15. ამპლიტუდა; 16. კატარი; 17. კოლონადა; 19. არამისი; 21. ზელტერი; 22. პანიკა.

სკანვორდის პასუხები:

1. ფრი; 2. საარი; 3. სამურაი; 4. სე; 5. ფრენჩი; 6. ვალაბი; 7. ლაპლანდია; 8. ომი; 9. გურია; 10. ალური; 11. რა; 12. მილიტარიზმი; 13. ალაზანი; 14. ლამარია; 15. მაგია; 16. დერბი; 17. რაე; 18. მიომა; 19. ისლამი; 20. ოტომანი; 21. უსტაბაში; 22. პრემიერა; 23. სუმო; 24. რო; 25. არა; 26. იან; 27. ოყა; 28. მარმაში; 29. ბასტილია; 30. სამყარო; 32. სლაი; 33. ბაირონი.

სურათებზე: ჰოლი ბერი; გარეტ ბეილი.

მამუკა ლომაშვილი: „რინგის მაყურებელს დავემსგავსეთ ერი“

პაროდისტი და რეჟისორი მამუკა ლომაშვილი ქვეყანაში განვითარებული მოვლენებით შეშფოთებულია და აცხადებს, რომ, ასე თუ გაგრძელდა, ცუდ შედეგებამდე მივალთ:

– ამოვიდა უკვე ყელში ეს ყველაფერი. მარაზმია... ცხოვრება მხოლოდ ნაჭამი იყო და კარგად გეცვას, არაა. რას დაგვიმსგავსეს ქვეყანა და ხალხი... შიზოფრენია გვჭირს და უფრო უარესი კიდე. ძალიან ცუდ შედეგებამდე მივალთ... რინგის მაყურებელს დავემსგავსეთ ერი.

ნინო ბაშარული: „ჩვენს პრეზიდენტს უნდა გააჩნდეს ხელოვნების, ზოგადად ქართული კულტურის დაფასების დიდი ნიჭი“

ასე მიაჩნია მომღერალ ნინო ბაშარულს და ათასწლოვანი უნიკალური ქართული კულტურის მოამაგე პრეზიდენტი უნდა:

– ვფიქრობ, რომ ჩვენს პრეზიდენტს ბევრ სხვა ნიჭთან ერთად უნდა გააჩნდეს ხელოვნების, ზოგადად ქართული კულტურის დაფასების დიდი ნიჭი, რადგან ეს ქვეყანა ლატარიაში კი არ მოვიგეთ, ხალხნო!

ეს ქვეყანა საუკუნეებს, ათასწლეულებს მოითვლის და მას დიდი კულტურული ღირებულებები გააჩნია! და მას სათანადო დამცველი სჭირდება... აი, ზუსტად ისეთი, როგორებიც ერთ დროს იყვნენ განძის მცველი ფუსტელები საქართველოში, ქვეყნის კეთილდღეობისთვის საკუთარი სიცოცხლის შემწირველნი!

ანრი ჯოხაძის დედას საარჩევნო ხმა მოჰპარეს

მომღერალ ანრი ჯოხაძის დედას, კომპოზიტორ რუსუდან ჩხაიძეს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს საარჩევნო ხმა მოჰპარეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ანრის დამ, მაგდა ჯოხაძემ გაავრცელა:

– საქართველოში ჯოხაძეების დედას რომ ხმას მოჰპარავ... ჩვენი ქოთქოთა და გადარეული დედიკო ამაოდ ელოდა მოძრავ გადასატან საარჩევნო ყუთს. უკვე ხმადაკარგულ-გამძვინვარებული მისეული მოკითხვით მოგიკითხათ მშობლები, ვისაც ეს ევალებოდა სანზონის ტერიტორიაზე 49 უბანზე.

კესარია აბრამიძე მის ტრანსგენდერის ორგანიზატორებმა გააფრთხილეს

კესარია აბრამიძემ საქართველო დატოვა. ის მონაწილეობს სილამაზის საერთაშორისო კონკურსში „მის ტრანსგენდერი“, სადაც საქართველოს წარადგენს. კონკურსი ბარსელონაში 2 და 3 ნოემბერს ჩატარდება.

კონკურსის ორგანიზატორებმა კესარია ბარსელონაში გამგზავრებამდე წერილობით გააფრთხილეს.

საქართველოს წარმომადგენელს კონკურსის ორგანიზატორებმა სპეციალური წერილი გამოუგზავნეს და თანამემამულეების მხრიდან კონკურსის მონაწილეების მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარების დაწერისთვის შენიშვნა მისცეს.

კესარია აბრამიძე:

– წერილი მივიღე კონკურსის ორგანიზატორებისგან. სამწუხაროდ, ზოგიერთი თანამემამულე განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევა...

გთხოვთ, შეიკავეთ თავი ღვარძლიანი უხამსი კომენტარებისგან, თორემ ეს პირდაპირ აისახება ჩვენი ქვეყნის იმიჯზე. ეს საერთაშორისო კონკურსია.

ირაკლი ნოზაძის „ფარული კონვერტი“ „რუსთავი 2“-ის ეთერში აღარ გავა

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემის „ფარული კონვერტის“ გუნდის გადაწყვეტილებით, მომღერალ ირაკლი ნოზაძის (პიკასოს) გადაცემა ეთერში აღარ გავა.

ინფორმაცია გადაცემის წამყვანმა ია ფარულავამ გაავრცელა:

– ირაკლი ნოზაძის (პიკასოს) გადაცემა არ გავა ეთერში. ეს არის პირადად გუნდის გადაწყვეტილება და არა არხის.

მან თავისი საქციელით ჩირქი მოსცხო არა მარტო „ფარული კონვერტის“ შემოქმედებით გუნდს, არამედ მთელს ტელევიზიას, თითქოსდა ჩვენ ის დავბლოკეთ საღამე ზურაბიშვილის კლიპში მონაწილეობის გამო. ეს იყო სუფთად პოლიტიკური პროვოკაცია და არხისთვის მიზანმიმართული დარტყმა არა მარტო მისი მხრიდან, არამედ იმ პოლიტიკური ძალის მხრიდან, ვის რეკლამაშიც ის მონაწილეობდა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და გადაცემა „ფარული კონვერტის“ შემოქმედებითი გუნდი იტოვებს უფლებას, რომ ეს კონკრეტული გადაცემა ირაკლი ნოზაძის (პიკასოს) მონაწილეობით საერთოდ მოხსნას საეთერო ბადიდან, რადგან არხისთვის ზიანის მიყენებაზე ჩვენ ვართ პრინციპულები და ყოველთვის გვექნება მკაცრი გადაწყვეტილება.

გადაცემის გუნდის გადაწყვეტილებას მომღერალი გამოეხმაურა:

– ჯიგრები ხართ!

და ამდენი ჩახლართვის გარეშე რო პირდაპირ გექნათ და აღარ დაგედგათ ეს სპექტაკლი არა?

თქვენი იყოს და მშვიდობით მოიხმარეთ!

ოჰოჰო, სამართლიანობის აღლუმია!

ცხინვალის თეატრმა გერმანიაში საოკუპაციო ზოლიდან მოგლეჯილი მავთულხლართი ჩაიტანა

ცხინვალის თეატრი გასტროლებზე გერმანიაში მიიწვიეს, სადაც დასმა საოკუპაციო ზოლიდან მოგლეჯილი 14 მეტრი საოკუპაციო მავთულხლართი ჩაიტანა.

ინფორმაცია ამის შესახებ თეატრის ხელმძღვანელმა ზაზა თედიაშვილმა გაავრცელა:

– გერმანიაში ჩავიტანეთ საოკუპაციო ზოლიდან მოგლეჯილი 14 მეტრი საოკუპაციო მავთულხლართი! 14 მაჩაბლელი მსახიობი ქალაქ კარლსრუეს სცენაზე საოცარ თეატრალურ სივრცეში, უდიდესი ემოციის ფონზე, გერმანელი და ქართველი მაყურებლისთვის აცოცხლებდა საბჭოური რუსეთის-'პირსისხლიანი ჯალათების, სამშობლოს მოღალატე გამყიდველი ქართველების წაქეზებით, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ოკუპაციის პერიოდს!



14-მა ქართველმა მსახიობმა თავისი წილი'თითო მეტრი მავთულხლართი'ორი საათით „გააბა“'გერმანია-საფრანგეთის საზღვარზე, ორი საათი დარბაზში ისმოდა ის, რაც იმ პერიოდში გადაგვიტანია ქართველებს!... რასაც დღემდე ვიტანთ!... რაც გვტკივა!.. ეს იყო უდიდესი ემოციის, ცრემლის, დიდი პატრიოტული მუხტის ტკივილი!..

ცხინვალის თეატრმა თავისი სიტყვა მკაფიოდ სთქვა! რომ არასდროს შეეგუება ოკუპაციას, არ შეეგუება მოღალატე „მეხუთე კოლონის“ არსებობას. ეს თეატრი, დიდი ვანო მაჩაბლის მემკვიდრე დასი, ევროპული კულტურის სრულფასოვან გაერთიანებაში მოსახვედრად ყველაფერს გააკეთებს!.. ჩვენი მავთულხლართები კი რამდენიმე დღეში დატოვებს ევროპას, ჩვენც ჩავიბარებთ, გამოგვადგება!

ასეთი მნიშვნელობის თეატრი, ასეთი ისტორიის, შემოქმედებით წარჩინებული დასი, შესანიშნავი სამსახიობო რესურსი, ძალიან ნიჭიერი რეჟისორით, ბრწყინვალედ ორგანიზებული მართვით! – მიკვირს, ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, როგორ შეიძლება, ეგუებოდეს 142 წლის ტკივილიანი ისტორიით და მაინც გადარჩენილი, მაღალი თეატრალური ტრადიციის მქონე კოლექტივის ტკივილს, რომელსაც დღემდე შენობა არ ეღირსა?!.. მიკვირს, ამდენი მილიონერი და ასეთი კონტრასტი?!.. თქვენ არ უნდა გიჭირდეთ არა!... – ორჯერ გაიმეორა გერმანელმა მამაკაცმა, რომელმაც თურმე სანამ სპექტაკლზე მოვიდოდა ბევრი ინფორმაცია მოაგროვა ჩვენ შესახებ. არც თქვენ უნდა გიჭირდეთ და არც ქართველ ხალხს, წარმოუდგენელია! ვიცით, ბატონო ჰელმუტ, არ უნდა გვიჭირდეს, არ უნდა უჭირდეს ქართველ ხალხს, მაგრამ ამდენი მილიონერი და მილიარდერი ხომ არ გვეყოლებოდა მერე?!.. ყველაფერი ხომ ლოგიკურად გამოდის?!

ქართველი და უცხოელი მეთოჯინეები საავტორო ნიმუშებს გამოფენენ

დედაქალაქი თოჯინების მეორე საერთაშორისო ფესტივალ „არტ დოლ თბილისს უმასპინძლებს, სადაც გამოიფინება ცნობილი ქართველი და უცხოელი მეთოჯინეების საავტორო ნიმუშები. მეთოჯინეები ესტონეთიდან, რუსეთიდან, ჩეხეთიდან, ლატვიიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან საკუთარ ნამუშევრებს გამოფენენ. საქართველოში წარმოდგენილი იქნება 20 საუკეთესო ხელოვანის ნამუშევარი.

საავტორო თოჯინა მსოფლიოში ძალიან პოპულარული ხელოვნებაა. მისი ნიმუშები დაცულია მსოფლიოს უმდიდრეს კოლექციებსა და მუზეუმებში, გამოფენილია ცნობილ საგამოფენო დარბაზებში.

დღესდღეობით თოჯინების ხელოვნება და მისი სხვადასხვა სახეობა ინტენსიურად ვითარდება და იხვეწება: ინტერიერული თოჯინა, თოჯინა არტობიექტი, რეპლიკანტი, რებორნი, კონცეპტუალური თოჯინა...

საერთაშორისო ფესტივალი და გამოფენა ოფიციალურად გაიხსნება 2 ნოემბერს ზურაბ წერეთლის სახელობის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში და 4 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ლელა ალიბეგაშვილი: „ჩემი ძვირფასი სამშობლო ისე არ გამოთაყვანებულა, როგორც თქვენ გგონიათ“

რუსთაველის თეატრის მსახიობი ლელა ალიბეგაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოში გამოკრეტინების ახალი გზა „გირჩია“ და მათი გამარჯვება შეუძლებელია.

ლელა ალიბეგაშვილი:

– ჩემი ძვირფასი სამშობლო ისე არ გამოთაყვანებულა, როგორც თქვენ გგონიათ, კრეტინებო... ამას მიხვდით და ამიტომაც მოიგონეთ სრული გამოკრეტინების ახალი გზა... „გირჩი“! არ გამოგივათ... აი, ნახავთ... ქრისტე გაჯობებთ, როგორც ყოველთვის, საქართველოში.

...ვინ რა აირჩია და გაითავისა, იმის მიხედვით... ყველა სიცრუის მოყვარულს, შურით შეპყრობილს, ცილისმწამებელს... უკლებლივ ყველა ზნედაცემულს... ადრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლად თავსვე დაატყდება საკუთარი ბოროტება.

ღმერთმა შექმნა ეს კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანს აქვს მიცემული თავისუფალი ნება, საკუთარ თავს გამოუტანოს განაჩენი... მართლაც, ღვთიურად სამართლიანი კანონია!.. საკუთარი ნებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ჩიპსებისა და გაზიანი სასმელის მოყვარული მათზე უარის თქმის შემდეგ გახდა



შოტლანდიის ქალაქ დალმუირის მცხოვრებმა მარკ ჰარდიმ, რომელიც 197 კილოგრამს იწონიდა, 100 კილოგრამზე მეტით წონაში დაკლება მოახერხა ფასტფუდზე უარის თქმის შემდეგ.

მამაკაცი წლების განმავლობაში დღეში ჭამდა 24 შეკვრა ჩიპსს, ორცხობილის შეკვრას, რამდენიმე შოკოლადს და ამ ყველაფერს 12 ლიტრ გაზიან სასმელს აყოლებდა. საღამოს ის ჭამდა ერთ ჯამ ბურბუშელას შვიდი კოვზი შაქრით, ტრადიციულ ბრიტანულ კარძს ფიშ-ენდ-ჩიპსს, დღის ბოლოს კი სამ ცალ ბიგ-მაკსა და მარწყვის კოქტეილს.

31 წლის ასაკში ჰარდის ექიმებმა მეორე ტიპის შაქრის დიაბეტი დაუდგინეს, თუმცა ამნაც ვერ აიძულა ის, თავისი რაციონი შეეცვალა.

ჰარდის აღიარებით, 27 წლის ასაკისთვის ის საკმაოდ მშვენიერი აგებულებით გამოირჩეოდა, შემდეგ კი საკუთარი განწყობის გასაუმჯობესებლად ჭამა დაიწყო.

– ფსიქიკის პრობლემები მქონდა. როდესაც დიაბეტი დამიდგინეს, დეპრესიაში ჩავვარდი და სიკვდილი მინდოდა, – განაცხადა ჰარდიმ. მისივე თქმით, ის მუდმივად დაღლილობას გრძნობდა. 20 მეტრის გასავლელად თითქმის ერთი საათი სჭირდებოდა, გზაში ის მუდმივად კედელს ეყრდნობოდა და ისვენებდა.

47 წლის ასაკში ის ექიმებმა გააფრთხილეს, რომ ცხოვრების ასეთი წესი მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი იყო. ჰარდი შეშინდა და უახლოეს სავარჯიშო დარბაზს მიაკითხა. ფიტნეს-ინსტრუქტორმა მისთვის ვარჯიშების პერსონალური პროგრამა და კვების გეგმა შეიმუშავა და ყურადღებას აქცევდა, რომ შოტლანდიელს მისი ინსტრუქციები ზუსტად დაეცვა.

წლინახევრის თავდაუზოგავი შრომის შედეგად ჰარდმა წონაში 114 კილოგრამის დაკლება შეძლო. როდესაც ექიმთან მივიდა, გაირკვა, რომ ის დიაბეტისგანაც კი განიკურნა.

ელისაბედ II-ის უკანასკნელი კორგი მოკვდა

უინძორის ციხე-სიმაგრეში დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის საყვარელი ჯიშის ველშ-კორგის უკანასკნელი წარმომადგენელიც მოკვდა.

ძაღლი უისპერი 12 წლის იყო და მისი სიკვდილი გამოიწვია დაავადებამ, რომლის განვითარება მას რამდენიმე კვირის წინ დაეწყო. აღსანიშნავია, რომ დედოფალს კიდევ ორი ძაღლი დარჩა, კენდი და ვულკანი. ერთი მეტისი კორგი, ხოლო მეორე ტაქსაა.

დედოფალმა კორგი 2016 წელს აიყვანა, მას შემდეგ, რაც მათი წინა პატრონი სანდრინგემის სამეფო რეზიდენციის ეგერი ბილ ფენვიკი გარდაიცვალა. მისი მეუღლე დედოფლის არყოფნის დროს ძაღლებს უვლიდა.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ოქტომბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6986	ევრო — 3.0632
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4512	100 რუსული რუბლი — 4.1018

ამინდის პროგნოზი 30 ოქტომბრისთვის



მილანმა ანტირეკორდი დაამყარა

მილანმა ზედიზედ 15 შეხვედრაში გაუშვა გოლი, რაც კლუბის ანტირეკორდია.

ადრე მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა.

ამ შემთხვევაში იტალიის ჩემპიონატის შეხვედრებზეა საუბარი. ჯენარო გატუზოს მილანიდან წასვლაზე უკვე ხშირად მიდის საუბრები და შესაძლოა სულ მალე მილანში ახალი მწვრთნელი ვიხილოთ.

გატუზომ ერთ-ერთ ინტერვიუში არ გამორიცხა, რომ ახალ წლამდე თანამდებობას დატოვებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პატარძლებმა ცეცხლმოკიდებული კაბებით იქორწინეს

ამერიკის აიოვას შტატის ქალაქ მაუნტ-ვერნონში საქორწინო ცერემონიის ბოლოს პატარძლების კაბებს საზეიმოდ წაუკიდეს ცეცხლი.

დაქორწინების შემდეგ 32 წლის ეიპრილ ჩოიმ და 28 წლის ბეტანი ბინრზმა ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს, ხოლო მეგობრებმა მათთან ანთებული მაშხალები მიიტანეს. ცეცხლი ჯერ გრძელ

შლეიფებს მოედო, შემდეგ ზევით წავიდა. ამის შემდეგ გოგონები ძირს დაეგდეს და ცეცხლმოკიდებული კაბები ჩააქრეს.

პატარძლებმა ეს ყოველივე წინასწარ მოამზადეს. მათ შიგნით სპეციალური კაბები ჩაიცვეს და ცეცხლმქრობები მოიმარაგეს. გარდა ამისა, სტუმრებს შორის იმყოფებოდნენ სერტიფიცირებული პიროტექნიკოსები და ექიმები.

ორივე გოგონა ვარიეტე-შოუში გამოდის და ცეცხლის გადაყლაპვით არის დაკავებული. სოციალურ ქსელში, ჩოის გვერდის თანახმად, ის ბავშვობიდან ეუფლებოდა ცეცხლით სხვადასხვა ილეთების შესრულების ოსტატობას, რამდენიმე რეკორდიც კი დაამყარა და გინესის რეკორდების წიგნში შევიდა.

სილამაზის კონკურსის გამარჯვებული სცენაზე გულწასული დაეცა



კონკურსის MissMGrand International-ის ფინალისტი, პარაგვაელი კლარა სოსა, სცენაზე გულწასული მას შემდეგ დაეცა, რაც ის გამარჯვებულად გამოაცხადეს. მის გვერდით მდგომმა ინდოელმა კონკურენტმა მინაკში ჩაუდხარიმ მისთვის ხელის შეშველება ვერ მოასწრო. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი იუთუბიზე გამოქვეყნდა.

კადრებში ჩანს, რომ კონკურსანტები ერთმანეთის პირისპირ ხელიხელჩაკიდებულები დგანან წამყვანის გამოცხადების მოლოდინში. როდესაც მან წარმოთქვა „პარაგვაი“, სოსა შეტორტმანდა და შემდეგ სცენაზე დაეცა. გარკვეული დროის შემდეგ ის გონს მოვიდა და თავზე გამარჯვებულის გვირგვინის დადგმაც შეძლო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

სასამართლოში გაუპატიურების საქმის განხილვა მიმდინარეობს. მოწმე მლესავი აძლევს ჩვენებას:

– კიბეზე ვიდექი და მეორე სართულის ფანჯრის გარშემო კედელს ვლესავდი. ამ დროს შევნიშნე, რომ ოთახში მამაკაცი შევარდა და დავინახე...

– რა დაინახეთ?

– მან გოგონა საწოლზე წააქცია.

– მერე?

– მერე, პერანგი და კაბა გააძრო.

– ასე, შემდეგ?

– შემდეგ ლიფი და ტრუსიკიც გახადა.

– შემდეგ?

– შემდეგ ზევიდან დააწვა.

– და მერე?

– მერე აღარაფერი დამინახავს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ კიბე, რომელზეც ვიდექი, გატყდა და ჩამოვვარდი.

– კიბე რამ გატეხა?

– ცხრა კაცის სიმძიმეს ვერ გაუძლო.

●●●

დედა შვილს ეკითხება:

– შვილო, მე რომ მაღაზიაში წავალ საყიდლებზე, შენ რის გაკეთებას აპირებ?

– ან ძიძას ვეთამაშები, ან ჩემი სათამაშო მანქანით გავერთობი.

– ???

– დედიკო, ეგ იმაზე იქნება დამოკიდებული, მამა რომელს აირჩევს.

●●●

ბიჭმა თანატოლი წყალში დახრჩობას გადაარჩინა. მასწავლებელი მის თანაკლასელებს ეუბნება:

– აი, ბავშვებო, ჩვენი გიგი ნამდვილი გმირია, მან ადამიანი გადაარჩინა. აბა, გიგი, მოგვიყევი, როგორ მოხდა ყველაფერი?

– რა არის მოსაყოლი? ჩემი ბოტასები ვათხოვე და...

●●●

ჭიშკართან მისული მამაკაცი ეზოში მოთამაშე ბავშვს ეუბნება:

– ბიჭიკო, მიდი ერთი, მამაშენს დაუძახე.

– ვერ დავუძახებ.

– რატომ?

– მოკვდა.

– ოჰ, რა მოუვიდა?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

პოლ პოგბა: „ხმის ამოღება ამიკრძალეს“

მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ პოგბამ გუნდში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ამ თემაზე საუბარი აუკრძალეს.

– საკმაოდ ბევრი სათქმელი დამიგროვდა, მაგრამ მითხრეს, რომ გუნდში არსებულ ვითარებაზე კომენტარი არ გამეკეთებინა, ამიტომ არაფერს ვიტყვი. მომავალში გამოჩნდება, რამდენად მართალი ვიყავი, – განაცხადა პოგბამ.

უკვე რამდენიმე თვეა, პოგბას უთანხმოება აქვს ჟოზე მოურინიოსთან და ამის გამო მან შეიძლება გუნდიც კი დატოვოს.

კრიშტიანო რონალდო: „იუვენტუსში ბედნიერი ვარ“

მადრიდის რეალის ყოფილმა ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდომ იუვენტუსზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდს ის ბოლომდე შეეჩვია და აქ ძალიან ბედნიერია.

რონალდოს თქმით, ის ასაკის მომატებას ვერ გრძნობს და ისევ ჩვეულ ფორმაშია:

– თავიდან იუვენტუსში გოლების გატანა მიჭირდა, მაგრამ ახლა უკვე ბოლომდე შევეგუე ახალ გუნდს და ყველა თამაშში უკეთ და უკეთ გამოვიყურები. იმედი მაქვს, იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგის მოგებას შეძლებს, რადგან ჩვენი გულშემატკივარი ამას იმსახურებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოხვოხდი ა

შვეულად: 1. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოში; 2. ხალხური ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი; 3. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 5. თეატრალური ცეკვის ხელოვნება; 6. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. ალუბლისგან დამზადებული ფრანგული ლიქიორი; 14. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 16. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 18. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში.

თარაზულად: 1. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 4. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. წითელყურძნოვანი ვაზის იტალიური ჯიში; 8. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 12. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. აეროპორტი ვარშავაში; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. რაიმე საქმეში შეტანილი წილი; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. იმრე კალმანის ოპერეტა; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა